


708/
1986/4

საქართველოს
ბიბლიოთეკა



ქველს კუთხუნი


3
1986



საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND
CULTURAL MONUMENTS



ძველი თბილისის რესტავრებული რაიონი „აბანოთხანი“.
სლოიდი დამზადებულია ხელოვნების
მემკვიდრეობის ფონდის სპეც-
ექსპერტენტულ რეკონსტრუქციის

რესტავრირებული რაიონი „აბანოთხანი“
სლოიდი დამზადებულია ხელოვნების
მემკვიდრეობის ფონდის სპეც-
ექსპერტენტულ რეკონსტრუქციის



საქართველოს
კულტურის მემკვიდრეობის
ფონდი

ქველეს ქუთხარა

№ 3 (1080)

კავალური საზოგადოებრივი

გამომცემი 1964 წლიდან

საგამომცემო კომპანია: ირაკლი აბაშიძე, გივი ბარათაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი
გომეზაძე (პ/მგ მდევანი), პარმენ ზაქარაია, ირაკლი ზაქარიაშვილი, მარიამ ლორთქი-
შანიძე, ოთარ ლორთქიშანიძე, ლევან მატარაძე, გივი პაპალაშვილი, ალექსი
ბრუნიძე, თენგიზ ფხაძე, გიორგი ჩინაია, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი

რედაქტორი — გივი ბარათაშვილი

Редактор серии ИРАКЛИИ ЦИЦИШВИЛИ

Редактор — Гиви Бараташвили

მარაზ შოშიძე — ლენინგორის სასახლის რესტავრაცია	5
თამაზ პალაძე — კუშისის სამება	11
ანდრე ძალაძე — კოშკური საცხოვრებელი შენობა	21
პარლო ტაბატაძე — სოფელ ვანის ეკლესია და მისი შემოგარენი	28
ანა კლდიაშვილი — ვარძიის ანაწარის ეკლესიისა და მიმდებარე დასავლეთის სათავის მოხატულობათა შედარება	31
მირიან რეხვიანი — შალვა, სამცხის სპასალარი და ათაბაგი	40
ავთანდილ ნუსუბიძე — ეროვნული თეოშეგნების ნათელი ფურცელი	44
ციცლა ლვაბერძენი — აქამდე უცნობი XIV საუკუნის თბილისური სპილენძის მონეტის შესახებ	47
მირიან გომიანი — შუახუროვნების დანიის ნაქალაქარის გარეუბნის სამაროვანი	49
ბიორბი ბერიძე — ნიკო ნიკოლაძე და „ძველი თბილისის“ რეკონსტრუქცია	54
პაპა ხიმშიაშვილი — უფლისციხის კლდეში ნაკეთი კომპლექსის ერთი ჩვეულის დეტალიზაციისათვის	59
ვალერიან მამუკლაშვილი — მუზეუმი სკოლადა	64
შეპართიანი, თავლაძე (ვახტანგ ცანცაძე 70 წლისა)	68
პართული ეთნოგრაფიის ბარშუბა (გიორგი ჩიტაიას ხსოვნას)	70
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე	74—79

СОДЕРЖАНИЕ

М. Бочондзе — Дворец Эрштавов в Ленингори	5
Т. Каладзе — Кумисская «Сამеба»	11
А. Калдани — Жилая башня в Сванети	21
К. Табатадзе — Церковь сел. Вани и его окрестности	28
А. Кдიაшвили — Росписи Ананаурской церкви и ее западного придела в Вардзии	31
М. Рехвиани — Шалва, полководец Самцхне и атабек	40
А. Нуцубидзе — Светлая страница национального самосознания	44
Ц. Гваберидзе — Неизвестная Тбилисская медная монета XIV века	47
М. Гочиашвили — Средневековый могильник Дманисского городища	49
Г. Беридзе — Нико Николадзе и реконструкция «старого Тбилиси»	54
К. Химшиашвили — К датировке одной группы Улиссихских скальных комплексов	59
В. Мамуклашвили — Музей-заповедник	64
Поздравляем юбиляра (Вахтангу Геронтьевичу Цинцадзе 70 лет)	68
Выдающийся ученый. (К памяти академика Георгия Свиридоновича Читая)	70
Анотации на русском и английском языках	74—79

მირაზ ბოჭორიძე

ლენინგორის სასახლის რესტავრაცია

ქსნის ხეობა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული წარსულითა და მატერიალური კულტურის ძეგლებით, შიდა ქართლის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა.

ეს ხეობა დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით შედის ორი რაიონის ფარგლებში: ზემო მხარე — ქსნის სათავედან სოფ. ოძისამდე მიეკუთვნება ლენინგორის რაიონს, ქვემო ნაწილი კი სოფ. ქსოვრისიდან ციხისძირი — საქადავიანო, შედის მცხეთის რაიონში.

ქსნის ხეობის ისტორიული წარსული და მატერიალური კულტურის ძეგლები რამდენადმე შესწავლილი და გარკვეულია, განსაკუთრებით შუა საუკუნეების ისტორია, როდესაც, ამ ხეობაში წარმოიქმნა ორი საყმაოდ ძლიერი სათავადო: ქსნის საერისთავო და სამეზხრანბატონო.

ფეოდალური ხანის ქსნის ერისთავები თავდაპირველად ქვენიფნევი ისხდნენ, მომდევნო პერიოდში მათ ცოტა უფრო ქვემოთ, მდინარის ნაპირას — ლარკვისში ჩამოინაცვლეს. XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე რეზიდენციამ ქვემოთ, ხეობის შედარებით გაშლილ ადგილას, ახალგორში ვადმოინაცვლა.


ლენინგორის (ისტორიული ახალგორის) კომპლექსი, გარშემორტყმული საერთო ვალაყით, ციხე-დარბაზთა სამ ანსამბლს აერთიანებს. მას თავისი სირთულითა და სადიდით ტოლი არა ყავს ამ ხეობაში და მთელ საქართველოში.

კომპლექსში, მხატვრულ-ისტორიული ღირსებით, ყველაზე მნიშვნელოვანია ქსნის ერისთავების რეზიდენცია, რომელიც შედგება კოშკოვანი ვალაყნით შემოზღუდული სასახლისაგან.

თავდაპირველად სასახლე თავის არსებობას XVII საუკუნიდან იწყებს, შემდეგ პერიოდებში იგი განიცდის მცირედ გადაკეთება-გაფართოებებს.

XIX საუკუნის დასაწყისში, ქვეყნის განვითარებაში ახალი ძვრებას შემოსვლა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქსნის ერისთავების სასახლის არქიტექტურაზე.

ამ პერიოდში თავდაპირველი, ერთსართულიანი ნაგებობა საფუძვლიანად გააფართოვეს და ზედ დააშენეს მეორე სართული. მთავარი ფასადის გადაწყვეტაში შემოდის სრულიად ახალი მოტივი — მაღალი, მასიური კოლონადის გრძელი რიგი, რომელზედაც დაყრდნობილია ხის მსუბუქი, აეურული აივნა. მეორე სართულის ინტერიერები ირთვება ისეთი არქიტექტურული დეტალებით, როგორცაა: — ორნამენტირებული მუხის პარკეტი, პროფილირებული კარ-ფანჯრები, ყვავილებითა და ამურებით მორთული შპალერი, კარ-ფანჯრის სახელურები, ბუხრები და სხვა.



ლენინგორი. ერისთავების სასახლე, რესტავრაციის პროცესი, ხედი დასავლეთით.

Ленинград. Дворец Эристави. Процесс реставрации. Вид на Запад.

ლენინგორი. ერისთავების სასახლე, რესტავრაციის შემდეგ, ხედი დასავლეთით.

Ленинград. Дворец Эристави после реставрации. Вид на Запад.





ლენინგრაი. ერისთავების სასახლე. დასავლეთ ფასადის ფრაგმენტი რესტავრაციამდე.

Ленинград. Дворец Эристави. Фрагмент западного фасада до реставрации.

ფასადისა და ინტერიერების ამგვარი გადაწყვეტა მოგვაგონებს დასავლეთ ევროპიდან და რუსეთიდან ჩვენში შემოსულ კლასიციზმის თავისებურ გამოხატვას.

სასახლეს გარს აკრავს სწორკუთხა ქვიტკირის გალავანი. იგი მოიცავს ოთხ სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოშკს. მათგან ყველაზე შთამბეჭდავია სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე შვიდსართულიანი, ოთხკუთხა გეგმის მქონე კოშკი, რომელიც ორქანობიანი სახურავით ყოფილა გადაბურული.



ლენინგორი. ერისთავების სასახლე. დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი რესტავრაციის შემდეგ.

Ленинград. Дворец Эрнстеров. Фрагмент Западного фасада после реставрации.

დასავლეთ ფასადის ზედა ნაწილში შეიმჩნევა ხის შვერილი აივნის კვალი. მეორე ოთხკუთხა კოშკი სასახლეს ჩრდილოეთიდან აკრავს. იგი გეგმაში შედარებით დიდია, ხოლო მისი ინტერიერები საინტერესოა ისეთი არქიტექტურული დეტალებით, როგორცაა: ტრომპებზე დაყრდნობილი ვუშმათოვანი გადახურვა, კედელში მოთავსებული ქვეს კიბე და ნიშები. გალავნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს ფრიად ორიგინალური ფორმის, მრავალწახანაგა კოშკი. იგი სამსართულიანია, მისი წახანაგების ზომები სხვადასხვაა, ხოლო წიბოები სართულების მიხედვით იცვლება. კოშკის სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია აღმოსავლეთის კედელში მოთავსებული კიბით. მისი მეორე სართული, მაღალი თაღოვანი ღიობებით გახსნილ, ფანჯატურს წარმოადგენს. მეოთხე მცირე ზომის, ორსართულიანი კოშკი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობს. იგი ცილინდრული ფორმისაა.

კოშკებს აქვს, როგორც საცხოვრებელი, ასევე საბრძოლო ხასიათი, ამიტომ აღჭურვილი არიან სათოფურებით, სალოდებით და საზარბაზნით.

ერისთავებებს სასახლე ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე საკმაოდ სრული სახით ყოფილა მოღწეული. გულისტყვილით შეიძლება ითქვას რომ სწორედ ამ დროიდან დაიწყო მისი გაძარცვა-განადგურება, რომელიც აქტი-



ურად ხორციელდებოდა ზოგერთი იმდროინდელი ხელმძღვანელების უზუნური განკარგულების წყალობით. სასახლემ მოკლე პერიოდში რამოდენიმე „პატრონი“ გამოიკვალა და ყველა მათგანმა, სამწუხაროდ, შენობის კეთების სახით, თავისი „კვალი“ დატოვა.

70-იანი წლების ბოლოს პირველად ენახე ერისთავების სარეზიდენციო სასახლე. მასსოფს ის გაოცება, რაც ჩემში გამოიწვია არსებულმა მდგომარეობამ და იმ განსხვავებამ, რაც 30-40-იანი წლების ფოტოებთან შედარებით ჩანდა.

მეორე სართულის აუთრული აივანიდან აბსოლუტურად აღარაფერი იყო დარჩენილი, დარბაზის სართულშია გადახურვა მთლიანად ჩაქცეულიყო ერთ დროს ბრწყინვალე ორნამენტირებული მუხის პარკეტი, — რომელიც უზოელი ხელოსნების მიერ ყოფილა შესრულებული, — აყრილი, სინეტისაგან დაზიანებული და ბევრგან სავსებით დაკარგული დაგვხვდა. ასევე მწყობრიდან გამოსულიყო პროფილირებული კარ-ფანჯრები და ინტერიერის სხვა არქიტექტურული დეტალები. შენობის გადახურვის მთელი სისტემა გამოსაცვლელი იყო.

არანაკლებ სავალალო მდგომარეობაში დაგვხვდა სასახლის ქვედა სართული. შალაღი, მასიური კოლონების კაპიტელები, ბაზები და სავსებით ბათქაში დაბზარული და ჩამოცვენილი იყო. ხოლო თვით შენობაში ყველაფერი „ბურუსით“ იყო მოცული: ინტერიერები სავსე იყო ჩახერგილობით, ჩანდა გვიანდელი კედლები და კედლის ნაშთები. ოთახები გადაკეთებული შელესილი და შეეთიერებული იყო.

რაც შეეხება სასახლის ვალაენსა და კოშკებს, აქ დასაველეთის კედლი შერჩენილი იყო ქონგურებამდე, ხოლო აღმოსავლეთის კედლი თითქმის მთლიანად იყო დანგრეული. კოშკებში ყველგან დაახლოებით ერთნაირი მდგომარეობა იყო: — ჩაქცეული სართულშია გადახურვები და მოშლილი კედლის ზემო ნაწილები.

ანსამბლიდან ყველაზე პრობლემატიური სასახლეზე მეშაობა იყო. სარესტავრაციო სამუშაოების ოპერატიულად წარმართვის მიზნით შემუშავებულ იქნა მეთოდი, რომლის მიხედვით პირველი სართულის გაწმენდასა და შესწავლის დაწყებისთანავე, პარალელურად მეორე სართულზე პრაქტიკულად უნდა დაგვეწყოს სარესტავრაციო სამუშაოები.

ჩატარდა ზონდაყები, რომელთაც გამოაქვინეს ნალესობის ქვეშ დამალული საყურადღებო არქიტექტურული დეტალები. ამის საფუძველზე პირველი სართულის ოთახებს მთლიანად ჩამოეხსნა გვიანდელი ნალესობა. გამოვლინდა შეისრულ-თალოვანი ნიშებისა და თახჩების მთელი სისტემა, რომლებიც შემდეგ პერიოდში ყოფილა ამოშენებული და გაუქმებული. გამოჩნდა უხეში გადაკეთებები და გვიანდელი კედლები.

ძველის გახსნამ, გვიანდელი საამშენებლო ფენებისაგან მისმა განთავისუფლებამ და შესაბამისად მისა არქიტექტურული დეტალების აღდგენამდე წესრიგში მოყვანამ, ფრიალ საინტერესო იერი მისცა სასახლის პირველ სართულს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველი სასახლიდან დარჩენილი, თალოვანი კამარებით გადაყვანილი ორი ოთახი პირწმინდად გაიწმინდა ნალე-

სობისაგან, აღდგა ქართული აგურით და დღეს თავდაპირველი სახით არის წარმოდგენილი.

მეორე სართულზე საკმაოდ რთული და დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა, აქ კედლების გარდა თითქმის ყველაფერი გამოაცვალა. ახლიდან დაიგო იატაკი, ჩაისვა კარ-ფანჯრები, შეიღესა კედლები და ჭერი. მთლიანად აღდგა განადგურებული აფურული აივანი, რომლის ორნამენტურებული მოტივები ძველი ფოტოებისა და ჩანახატების მიხედვით შესრულდა. სასახლეს გამოეცვალა გადახურვების სისტემა და აღდგა მეორე სართულზე ასასვლელი ფართე, პარადული ხასიათის კიბე.

პარალელურად სასახლისა სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა გალავანსა და კოშკებზე. გალავნის დასავლეთის კედელი მთლიანად დაგვირგვინდა ნახევარწრიული ქვის ქონგურებით, ზოლო აღმოსავლეთის კედელი, რომლის ბოლომდე აღდგენისათვის კვალი არ არსებობდა აღდგა საბრძოლო ბილიკის სავარაუდო დონემდე.

კოშკებში მოეწყო სართულმუეა გადახურვები. მრავალწახანაგა, ცილინდრული და ჩრდილოეთის კოშკები დასრულდა ქონგურებით და ბრტყელი საბრძოლო სართულით. ეს უკანასკნელი, ხას კოშკებზე დაყრდნობილი, რკინა-ბეტონის კონსტრუქციული ფილით მოეწყო. რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე მაღალ კოშკს, მას ზედა ნაწილში გაუკეთდა რკინა-ბეტონის სართყელი, აღდგა ფრონტონები და ორქანობიანი სახურავით გადაიხურა. ამ კოშკას დასავლეთის ფსადი კიდეე უფრო საინტერესო გახადა ხის შვერილმა აივანმა, რომლის აღდგენისთვის ყველა პირობა არსებობდა.

ყოველივე ამასთან ერთად გაიწმინდა და კეთილმოეწყო ეზოს ტერიტორია, გამოიკვალა გალავნის ძველი კარები და გაუკეთდა გარედან ფართე მისასვლელი კიბე, რითაც სასახლეს მოწესრიგებული იერი მიეცა.

ამჟამად ქსნის ერისთავების სასახლის ანსამბლზე სარესტავრაციო სამუშაოები დამთავრებულია. იგი საექსპლუატაციოდ გადაეცა ლენინგორის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.



კუმისის სამება.

Кумисская «самеба».

თამაზ კალაძე

კუმისის სამება

სოფელი კუმისი, თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით თხუთმეტობედ კმ-ის დაშორებით, გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ეს უძველესი ქართული სოფელი მთებში გარშემორტყმულ ტაფობშია მოქცეული და საცქერლად მეტად ლამაზია. სოფ. კუმისში და მის მიდამოებში მრავლადაა შემორჩენილი ისტორიისა და კულტურის ძეგლები.

ამ წერილში გვინდა გესაუბროთ ერთ-ერთ მათგანზე — კუმისის „წმ. სამების“ ეკლესიაზე და გაგაცნოთ თუ რა სამუშაო ჩავატარეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ნ. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივმა ძეგლის მოვლა-დაცვისათვის.

ჩვენი დაინტერესება აღნიშნული ძეგლით რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. კუმისის სამება საქართველოს წარჩინებულ და სახელოვან ფეოდალთა — ორბელიანთა გვარის ერთ-ერთი საძვალეა. აქ დაკრძალულნი არიან გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავნი; სიყრმის მეგობარნი, 1832 წლის ცნობილი შეთქმულების მონაწილენი; ის ქართველი მოღვაწენი, რომელნიც გარდასული საუკუნის რომანტიკული სულისკვეთებით აღსავსე დროის ჭეშმარიტნი შვილნი იყვნენ და მის ზიბლსა და მშვენებას შეადგენდნენ. მარტო მანანა ორბელიანის სახელიც კმარა, რათა ვასაგები ვახდეს, რა ძვირფასია ქართველთათვის ეს ძეგლი, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, XIX ს. ქართველ მოღვაწეთა პანთეონს წარმოადგენს და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ ღირსეულ ადამიანთა საუკუნო განსა-



ვენებელი ადგილი შებილწულ და განადგურებულ იქნა უცნობ ბოროტმოქმედთა მიერ.

1968 წელს გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა ხის კანკელი და ყველა ნატი თავისი დასასვენებელი ხის მოჩუქურთმებული სადგამებით; ჩამოინგრა ხის გადახურვის კონსტრუქციები და თუნუქის სახურავი. აი რას წერდა გაზეთი „თბილისი“ (1975 წ. 21 აგვისტოს): „გამოჩენილ აღამაინთა პანთეონი განადგურდა... ასევე გაძარცვის მიზნით დაუნგრევიათ დავით ყაფლანის ძე ორბელიანის მაღალი გემოვნებით შესრულებული ძეგლი, ბარბაროსულად დაუმსხვრევიათ მარმარილოს ფილები, ზოლო ეკლესია ცეცხლს მიუციათ“.

ასეთ საეკლესიო მდგომარეობაში იყო ძეგლი, როცა ჩვენი ინსტიტუტის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის წევრები (თავრეთ კალაძე) ჩავედით კუმისში. 1980 წ. საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმთან დადებულ იქნა სამეფო ხელშეკრულება. აქედან მიყოლებული სისტემატიურად ვახორციელებდით გარკვეულ სამუშაოებს ძეგლის სარესტავრაციოდ მოსამზადებლად: გავწმინდეთ ძეგლის გარშემო ტერიტორია, გავკერით სანიაღვრე არხი, მიმდებარე ტერიტორიაზე დავრგეთ კაკლის ხეები, ძეგლის აღსადგენად შეეწირეთ 2000 მანეთზე მეტი, შრომით მონაწილეობას ვიღებდით ძეგლზე მიმდებარე სარესტავრაციო სამუშაოებში.


1980 წელს გადამწვარი ეკლესია აზომეს არქიტექტორებმა ა. ფაველინივილიმა და შ. ცინცაძემ. 1983 წელს კი ჩაუტარდა რესტავრაცია (პროექტის ავტორი — არქ. შ. ცინცაძე).

დავინტერესდით კუმისის ისტორიითაც. კუმისის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში კანტი-კუნტადაა გაბნეული ცნობები. სოფელი კუმისი ისტორიულ წყაროებში პირველად XV ს. იხსენიება. აქ, 1462 წელს, მეფე კონსტანტინეს დროს, ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა თურქმანთა ჯარი.

XVIII ს. პირველ მეოთხედში ვახუშტი ბატონიშვილს, მეფე-დედოფლის ბრძანებით, აღუწერია სამეფოს მოწინავე სადროშოს — ქვემო ქართლის უდიდესი ნაწილი და კუმისის მკვიდრო დასახლებულ დიდ დაბად მოიხსენიებს. „კუმისის ტბის დასავლეთ არს კუმისი, დაბა დიდი, ვენახოვანი, ლელვანი, ბროწყულიანი, ხილიანი. ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი ბრინჯბამბას გარდა; კანაფი უმუშაკოდ სცენდების. კუმისის თავს, კლდესა შინა არს გამოკუთვითლნი ქუბანი“¹. კუმისის მიდამოებში სხვა ძეგლებიცაა საინტერესო — საფორტიფიკაციო ნაგებობები, სადარაჯო კოშკები და ა. შ.

კუმისის ისტორიულ ძეგლთა კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „წმინდა სამების“ ეკლესიას, რომელიც ახლანდელი სოფლის თავზე, ჩრდილოეთის მხრიდან გამავალ თელეთის ქედის თხემზე მდებარეობს. ამ ადგილას ადრე არსებულ შუა საუკუნეების ეკლესიის ფუძეზე, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს — ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილს 1846 წელს აუგია ახალი ეკლესია, რასაც გვამცნობს ეკლესიის დასავლეთის კედელში ჩატანებული, თეთრ ფილაზე შესრულებული რუსულ-ქართული წარწერა.

«Во славу Бога храм сей во имя Св. Троицы вооружень Князем Николаемъ Иосифовичемъ Палавандовымъ 1-го Октября 1846 года.
„სადიდებლად ისა ტამარ ესე სახელსა ზე წმიდისა სამების ასე აღშე-



კუმისის სამება რესტავრაციამდე.

Кумисская «самеба» до реставрации.


ნებულ არს თავადისა ნიკოლოზ იოსების ძის ფალავანდოვისაგან ოლტომბერს ჩემეს წელსა. აღმშენებელსა გვერდით მის ჰყოფნეთ შენდობით მოხსენებასა.*

ეკლესია დარბაზული ტიპისაა და გეგმაში მართკუთხედს წარმოადგენს (11,81X7,9 მ). საკურთხევის აფსიდს, განახეავებული სწორკუთხა ფორმა აქვს. ეკლესიას სამი შესასვლელი კარი ჰქონდა — დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ამჟამად ჩრდილოეთის შესასვლელი ამოჭოლილია. დასავლეთის კედელში გაჭრილ კიბეს სხევენზე ავეყავართ, შემორჩენილია სამრეკლოს ბაზისის ნაწილი. ეკლესიის ოთხივე კედელი ამოყვანილია ქართული აგურით; წყობა შესრულებულია კირის დეღაბით; აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის კედლებზე აგურის წყობით გამოყვანილია ოთხიხი პილასტრი; ინტერიერი შელესილია, იატაკი ბაზალტის ფილებითაა დაგებული. როგორც სოფლის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. გ. ზაალიშვილი იხსენიებს, თელეთის ქედის ფერდობები ნაკვეთებით ყოფილა დაფარული და არხიც გადიოდა. „წმ. სამების“ ეკლესიის სამხრეთ ფერდობზე, გასული საუკუნის ბოლოს და XX ს. დასაწყისში — ბერების სადგომები ყოფილა ოთახებიანი სახლების სახით. ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი. ერთ-ერთ ორსართულიან სახლში ცხოვრობდა გრ. ორბელიანი.

შეიძებოდა აქ დაგეგმთავრებინა ჩვენი წერილი, ძეგლი რესტავირებულია, მოვილილი, მაგრამ ვფიქრობთ ჩვენი თბრობა არასრული იქნება თუ არ შეეჩერდებით უფრო დეტალურად კუმისის ნეკროპოლზე, უცნობ ბოროტმოქმედთა ხელით დაზიანებულ საფლავებზე.

გაზეთი „თბილისი“ 1975 წ. 19 ივლისს წერდა: „...და აი ვდგავართ სა-

* აქ და შემდგომში საფლავის ქვეზე შემორჩენილ წარწერებს ვბეჭდავთ შეუსწორებლად.



კუმისის სამება რესტავრაციის შემდეგ.


Кумисская «самеба» после реставрации.

ნახევროდ დანგრეულ სამების ტაძარში. კედლები და აქ არსებული საფლავის ქვები ლოლფოსაგან ამოკმულა — ვიღაც უგუნურს ნამსხრევებად უჭყვევია მანანას საფლავის მარმარილოს ფილა... მიიძე მდგომარეობაშია აქვე არსებული ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიის პერსონაჟის, ცნობილი ყაფლან ორბელიანის, მისი მეუღლის, იოანე სარდლის ძისა და სხვათა საფლავები, ზოგი კი სამუდამოდ იავარქმნილა“.

ამ სამწუხარო ფაქტთან დაკავშირებით შექმნილმა ძეგლთა დაცვის კომისიამ აღმოაჩინა, რომ მანანა ორბელიანის საფლავის ბაზალტის ქვაზე ჩაკირული მარმარილოს წარწერიანი ფილა 30 ნატეხად იყო ქცეული. შემდგომ წლებში დაზიანდა სხვა წარწერიანი ფილებიც, ხოლო ვინმე ორბელიან-ამირეჯიბის საფლავის ქვა კი საერთოდ გაქრა. კომისიამ საჭიროდ სცნო მანანას საფლავის ქვის აღსადგენად ნატეხების თბილისში ჩამოტანა, რომელიც ეკლესიის რესტავრაციის შემდეგ ადგილზე იქნა დაბრუნებული.

უნდა აღინიშნოს, რომ 1983 წელს მანანა ორბელიანის დაბადების 175-ე წელთან დაკავშირებით ეურნალ-გაზეთებში გამოჩნდა მრავალი ცნობა კუმისის „წმინდა სამების“ ეკლესიაში დაკრძალულ ისტორიულ პირთა შესახებ. მაგრამ ამ საკითხში ეს წერილები ერთმანეთთან ვერ შეეჯერეთ, მეორეც, უფრო უპრინაოდ ჩავთვალეთ აღგვეწერა ის, რაც დღეს-დღეობით შემონახულა. გასული საუკუნის ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა საფლავების გადარჩენილი წარწერები იძლევიან საინტერესო ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და დამწერლობითი ხასიათის ცნობებს.

ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ გადარჩენილი ეპიტაფიების შინაარსის გადმოცემა, შეძლებისდაგვარად ნახ. 1-ზე გადმოვიღეთ ეკლესიის შიგნით დაკრძა-




ნახ. 1. ეკლესიის გეგმა და საფლავის
 კვების განლაგება.

Чертеж 1. План церкви и
 расположение надгробных плит.



ნახ. 2. ეკლესიის ეზოს სურათი 1983-1984 წლებში



- 4 — იაკობ ნიკოლოზის ძე ორბელიანი გარდაიცვალა ჩემკ ოქტომბერს 68 წლის.
- 5-7-16 — უწარწერია.
- 6 — გარდ. 47 წლის
- 8 — ასული თამაზ ჭობულოვისა, შეუღლე თავად ვაფლან ორბელიანისა
- 9 — (საფლავი რკინის ღობეშია) კნენია ელისაბედ შარაღო (ან სამარაგდონ) ორბელიანისა, სოლომონ ავალივის ასულისა. გარდ 1856 წ. 58 წლის
- 10 — ესტატე ორბელიანი იოსების ძე 33 წლის გარდ. 1834 (5) წელს
- 11 — კნენია ფნაფნ ნიკოლოზ ვესტატის ძის ჩამბაყურ — ორბელიანისა 11 მარტი 1868 წ. 37 წლის.
- 12. — (ჩუჭურთმინი ქვა) ნიკოლოზ ვესტ. ჩამბ. ორბელიანი
- 13 — ქვა დამტყრეულია
- 14. კნენია ანა ჩამბაყურ ორბელიანისა — შეუღლე კნიაზ ლუარსაბისა, გარდ. აგვისტოს 27 1844 წ. 50 წლის (საფლავს აქვს ღერბი)
- 15 — წარწერა ამოვადებულია, საფლავი რკინის ღობეშია
- 17-20, — საფლავის დიდი ქვებია — უველა წარწერა ამოვადებულია.



ეკლესიის ეზოს ფრაგმენტი.

Фрагмент двора церкви.

ლულ პირთა სამარხების განლაგება. ქვემოთ მოგვეყავს სია, ეპიტაფიათა შინაარსით და მცირე კომენტარებით:

1. წარწერა არ ჩანს. საფლავის ქვა პატარა და თითქმის კვადრატული ფორმისაა.

2. „აქა განისუფნებს გუამი კნიენა ნინა ნიკოლოზის ასულისა ფალავანდოვისა, გარდაცვალებულსა 25 აპრილს 1856 წელს ცხოვრების თვისსა 20 წელსა. აჰა ესერა ღმერთო შემწე ჩემდა და უფალ შემწყნარებელ სულსა ჩემსა“. (იმავე შინაარსის წარწერა რუსულ ენაზეა შესრულებული).

3. „აქა მღებარეობს გუამი დეისტეინელნი სტატსკს სავეტნიკისა ნიკოლოზ იოსების ძის ფალავანდოვისა გარდაცვალებულს 24 თებერვალს 1855 წელსა ცხოვრების თვის 65 წელსა.

ღმერთო შემწე ჩემდა და უფალ შესავედრებელ სულსა ჩემსა“.

ამავე შინაარსის წარწერაა რუსულ ენაზე.

ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილი 1832-38 წლებში იყო თბილისის სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორი, 1853 წლიდან მეფისნაცვლის მთავარსამართველოს საბჭოს წევრი. 1832 წლის შეთქმულების გამცემის იასე ფალავანდიშვილის ძმა. მან ააშენა 1846 წ. კემისის სამების ეკლესია. არის მოსაზრება, რომ იასე ფალავანდიშვილიც ამ ეკლესიაში უნდა იყოს დაკრძალული.

4. წარწერა არ იკითხება.

5. მარმარილოს ფილაზე შემორჩენილ წარწერიდან იკითხება შემდეგი: „დავით ყაფლანის ძე **Орбелиани** დაიბადა 1845 წელს, გარდაიცვალა 1862 წელს“.

6. „უფალო, კელთა შენთა შევევედრებ სულსა ჩემსა.“

აქა განისუტყნებეს გუამი თავადის ყაფლან ასლანის ძის ორბელიანისა გარდაცულებულსა 1878-სა წელსა. იელისის 13-სა, დღესა შობიდან სა-
სა- Прахъ К. Каплана Асланича Орбелиани საფლავი დიდი და
აქვს ღერბი.

ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი გრ. ორბელიანის ბიძაშვილი და სიყრმის მეგობარი იყო. 1846-50 წლებში იყო ბორჩალოს მოურავი., 1853 წლიდან კი დიამბეგის მოვალეობის შემსრულებელი. ყაფლან ორბელიანი თავისი დროის მეტად კოლორიტული ფიგურაა, საზოგადოების სული და გული. პოეტის წერილებში კარგად ჩანს ყაფლანისადმი ძმური სიყვარული. 1847 წ. 28 აპრილს გამოგზავნილ წერილში გრ. ორბელიანი წერს: „ჩემი ყაფლან სად არის, ჩემი ნადირშაჰის ჯილა, ჩვენი ბარამჯიბილი? რატომ არ მწერთ მაგის ამბავსა, ხომ იცით ჩემი თაიგულია“.

7. „ესე არს განსასუტყნებელი ჩემი ამას დავემკვიდრე აქა განისუტყნებეს გუამი კნენინა — ელისაბედ იოანნე ბარათაშვილის ასულისა ქვრივის ყაფლან ორბელიანისა შობიდან 67 წლისა გარდაცულებულისა 1892 წელსა თებერვლის 29-სა“.

ვფიქრობთ, რომ აქ დაკრძალულია ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის მეუღლე. უნდა აღინიშნოს, რომ კუმისის ეკლესიის ეზოში (იხ. ნახ 2). არის საფლავის წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია — „თამაზ ქობულოვის ასული, მეუღლე თავად ყაფლან ორბელიანისა“. შესაძლებელია ყაფლან ორბელიანს ჰყავდა ორი მეუღლე, (ორჯერ იყო დაქორწინებული). ამ საკითხის გარკვევაში მივმართოთ გრ. ორბელიანის წერილებს. 1839 წ. 11 მარტს ის თავის ძმის ილია ორბელიანისადმი გავზავნილ წერილში სამძიმარს უცხადებს ყაფლანს: „ახ! რა რიგათ ვსწუხვარ საბრალო ძალუა ნინოსათვის. ეგ ერთი იყო ყოველსდევრით შესაფერი ჩვენის ოჯახისა. ეგეც დამიწდა. უდროოდ — ორჯელ დავსწერე ყაფლანთან წიგნი არ ორჯერე არ გამოუგზავნე, დავხიე, ყაფლანს უნდა სამძიმარი მოვსწერო“ (იხ. წერილი № 27). შემდგომ წერილებშიც გრ. ორბელიანი ყაფლანს ქვრივად იხსენიებს, სხვაგან კი უკვე ყაფლანის ცოლს მოიკითხავს.

8. „თავადის დავით ჯამბაკურ ორბელიანის მეუღლე, მირმანოზ ერისთავის ასული, კნენინა მანანა.

დაიბადა იე (—) აგვისტოს ჩუხ-სა წელსა. გარდაიცუალა იენისის ას ჩუხ-სა წელსა. ესე არს განსასუტყნებელი ჩემი უკუნიითი უკუნისამდე. ამას დავემკვიდრო რამეთუ მთნავს ესე“ (საფლავს აქვს ღერბი).

ამ კეთილშობილი მანდილოსნის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე საყოველთაოდ ცნობილია. როგორც ჩანს, აქ დასაფლავებული უნდა იყოს აგრეთვე მისი საყვარელი ვაჟი ალექსანდრეც. 1870 წლის 13 ივნისს ღრმად დამწუხრებული გრიგოლ ორბელიანი წერდა სამეგობროში მყოფ ეკატერინე ჰავევაძე — დადიანისას: „მწუხარება დაგვერთო, ძლივს დავსაფლავებთ საწყალი ალექსანდრე სამებაში, ორი დღის უკან მოვასვენებთ იქვე ჩვენი სასიჭადულო მანანა“! დამტკრებული ეპიტაფიების გამო ალექსანდრეს საფლავს დღესდღეობით ვერ მივადგენთ.

9. „თავადი იოანნე სარდლის ძე დავით ჯამბაკურ ორბელიანი. დაიბადა ჩუხ-სა წელსა. გარდაიცუალა ჩუხ-სა წელსა იანვრის (კარგად არ იკითხება) ნეტარ არიან მკუდარნი იგი რომელში უფლისა მიერ მიიკუალნენ, რათა გან-



შეფები ძეგლის ტერიტორიაზე
მუშაობის დროს.

Шефы во время работы
на территории церкви.

ლ. მწინონ შრომათგან მათთაა. (საფლავის ქვა დიდი ზომისაა, თავში ღერბი აქვს):

ამრიგად აქ მარხია მანანა ორბელიანის მეუღლე, მეფის კანცელარიის მრჩეველი, ლიტერატურულ წრეებთან დაახლოებული პირი.²

10. წარწერა არ იკითხება

11. წარწერა არ ჩანს —

12. საფლავის ქვა კედელშია ჩასმული, ქართულ ენაზე წარწერა დამტვრეულია, შემორჩენილია რუსული ეპიტაფია — «Памятник сей сооружень неутыжными родителями возлюбленному сыну своему 1863 года 20 июня».

ე. ი. აქ ყოფილა ძეგლი, შესაძლებელია ყაფლანის შვილია დაკრძალული. (?).

განსაკუთრებით დაზიანებულია ეკლესიის ეზოში დაკრძალულ პირთა საფლავის ქვები. ნახ. 2-ზე გადმოტანილია საფლავების განლაგება და წარწერათა ფრაგმენტები. ქვემოთ მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობას ეკლესიის ეზოში დაკრძალულ პირთა შესახებ.

ერთ-ერთ ქვაზე წარწერაა, რომ აქ განისვენებს „ქნიაზ ლუარსაბის მეუღლე კნეინა ანნა ჭამბაკურ ორბელიანისა“. მაიორ ლუარსაბ ორბელიანის ძმა დაეითი იყო მანანას ქმარი, და კი პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე — სალომე. იგი გარდაიცვალა 1835 წელს. ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე ანა თავისი სიტურფით ამშვენებდა იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას. 1882 წელს გრ. ორბელიანი ტასო ოგლობჯიოს წერდა ეკატერინე დადიანის გარდაცვალების გამო: „ესრეთნი იყვნენ: ანნა, მანანა, მაია, ჩუენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინა გრიბოედოვისა, მისი და სოფიო, ჩუენი მაიკო, ყაფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხუანიცი! ანა, ეხლა თვალა



გადავლუ ჩვენს საზოგადოებას, ვინ არის ამათი მავიერი? — ჩემო ტასო, ბნელ-
 დება საქართველო! ლუარსაბ ორბელიანი თავისი მეუღლის ანაქარაძის
 უნდა იყოს დაკრძალული.

ასევე ეკლესიის ეზოშია დაკრძალული გრ. ორბელიანის ნათესავი იაკო.
 ნიკოლოზის ძე ორბელიანი; მისი მეუღლის ნინო ორბელიანის საფლავიც იქ-
 ვე უნდა ვიგულისხმოთ. აქვე მარხია გრ. ორბელიანის მამიდა კნენია ელისა-
 ბედი, მარადლო (სამარავდონ) ორბელიანის მეუღლე. ასევე შესაძლებელია.
 რომ გრ. ორბელიანის ბიძა ასლან ორბელიანი (ყაფლანის მამა) კუმისის სა-
 მების ტერიტორიაზეა დასაფლავებული.

როგორც ირკვევა გრ. ორბელიანის წერილების თითქმის ყველა ადრე-
 სატს კუმისში მოუყარია თავი, აქ უპოვიათ საუკუნო განსასვენებელი. დაღეს-
 ტნის ბრძოლაში მყოფი გრ. ორბელიანი 1847 წ. წერდა: „მე თუ მკითხავთ,
 კუმისის ეკლესია უნდა გვერჩივნოს, აქ უნდა იყოს უკანასკნელი ჩვენი სად-
 გური“. იმავე წელს ამისადმი ილია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში აღ-
 ნიშნავდა: „ზაქარიას სიონში დამარხვა მე არ მომწონს, ჩვენი კუმისის სამება
 მსობს ჩვენთვის, ამიტომ რომ ეს არის საკუთარი ჩვენი სასაფლაო, და სიონი
 კი საქვეყნო სობორო, რომელშიაც სარდალიც მარხია, მაგრამ არც ვინ იცის
 და არც ვის აგონდება. — „ამა მიზეზით მიწადა, რომ ჩვენი სასაფლაო იყოს
 სამებაში, რომ ზოგჯერ მე ნათესაემან მაინც გვენახოს და მსოქვას შენდობ-
 მიცვალებულისათვის“.

ქართველ კაცს ყოველთვის კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ წინაპრის
 ხსოვნის პატივისცემა საკუთარი ღირსების შეგრძნებას მატებს ადამიანს. ისი-
 ნი კი ვინც კუმისის სამებაზე ეკლესიაში დამტვრულ, წარწერა გადაკლილ
 ფილებს ქვეშ განისვენებენ, ისინი რომელთაც ბედმა არგუნა ეცხოვრა შორი-
 დან ერთი შეხედვით მომხიბლავ — რომანტიკულ, ბურუსით მოსილ დროში,
 მაგრამ სინამდვილეში ძალიან მძიმე, წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდში,
 როგორც შეეძლოთ, ღირსეულად განვლეს ცხოვრება. არც ქართველობისათ-
 ვის უღალატიათ და არც ქართველი კაცის სახელისათვის.

არ შეიძლება, რომ კიდევ როდესმე განმეორდეს კუმისის შემზარავი ისტო-
 რია. ამ ქვეყნიდან წასულ მოღვაწეთა საფლავებიც მისახედია. ეს ყველა ჩვენ-
 თაგანის ვალია.

1. სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგია, დაკავშირებული უნდა იყოს თურქულ სიტყვას-
 თან კუმა-ყუმი, რაც ნიშნავს ქვიშას, სილას; სოფლის რელიეფური შემაღვლლობა შესაბამემა
 ამ სახელწოდებას.

2. 1963 წ. რესტავრაციამდე საფლავები 8 და 9 მარჯვნივ ყოფილა, ისე რომ დასავლეთის
 კარდან შემოსული პირდაპირ აღიოდა (საფლავის გავლის გარეშე) საკრთხველამდე.

კოშკური საცხოვრებელი სვანეთში

ტრადიციულ სვანურ საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნაგებობათა ჯგუფს, რომელიც ლიტერატურაში ციხე-სახლის ან კოშკური საცხოვრებლის სახელწოდებითაა ცნობილი. სვანურში ამ ტიპის საცხოვრებლის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი ლაზგა მურყვამ, რაც ქართულად ითარგმნება როგორც საცხოვრებელი კოშკი. ვფიქრობ სვანურ ტერმინში კარგადაა ასახული ნაგებობის ფუნქციონალური მახასიათებლები. სემანტიკური მნიშვნელობით ტერმინი კოშკურ საცხოვრებელთან უფრო ახლოს დგას ვიდრე ციხე-სახლთან და ამდენად ქვემოთ განსახილველ ნაგებობას კოშკური საცხოვრებლის სახელწოდებით მოვიხსენიებთ.

კოშკური საცხოვრებლები პირვანდელი სახით მხოლოდ უშგულში შემორჩენილიან, თუმცა მათი ტრანსფორმირებული ფორმები სვანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც გვხვდება. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ნაგებობის საწყისი ფორმები ძველად ფართოდ იყო გავრცელებული მთელ სვანეთში. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ბალს ქვემო სვანეთში ჩაწერილი გადმოცემები (ბალს ქვემოთ კოშკური საცხოვრებლის პირვანდელი სახე დიდი ხანია აღარ არსებობს). ერთ-ერთი გადმოცემა გვამცნობს, რომ აქ მცხოვრებთა წინაპრები სამსართულიან კოშკურ საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ. ასეთი ნაგებობის პირველი სართული საქონლის სადგომად გამოიყენებოდა, მეორე — ადამიანის საცხოვრებლად, ხოლო მესამე კი თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა!


სვანეთში კოშკური საცხოვრებელი ჩვეულებრივ სამსართულიანია, გამოწველია სახით გვხვდება ოთხსართულიანი, ხოლო მისი ტრანსფორმირებული ფორმები ხუთსართულიანიცაა.

უშგულის სი.ფელ ჩაქაშში ავზომიო ვიორგი ნიფარაძის კოშკური საცხოვრებელი. ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთის მისასვლელთანაა აშართული. საშენად კლდის ქვაა გამოყენებული (ძირითადად ფიქალი), შემკრავად — კირის ხსნარი. კედლებს შიგნიდან შელესვის კვალი ეტყობა.

ნაგებობის გეგმა ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს (10,6X8,8 მ). იგი სამსართულიანია. მისი სიმაღლე 13 მ-ია.

კედლების სისქეები პირველი სართულის დონეზე დიდია. ჩრდილოეთის კედლის სისქე 2,7 მ-ს აღწევს, ხოლო დანარჩენი კედლებისა კი იცვლება 1,45-1,75 მ-ის ფარგლებში. ჩრდილოეთის კედლის განსაკუთრებული სისქე იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ ამ კედლის სისქეში იყო გაკეთებული როგორც პოლი, ისე მეორე სართულთან დამაკავშირებელი კიბე, ასევე დიდი ზომის ნიში და ორი სამალავი. ბოლო სართულზე კედლების სისქე 0,6-0,5 მ-მდე შემცირებული.

პირველ-მეორე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ქვითკირისაა



გ. ნიჟარაძის კომპლური საცხოვრებელი სოფ. ჩაქაში. გეგმები.

Жилая башня Г. Нижарадзе в с. Чакаши. Планы.



გ. ნიჟარაძის კომპლური საცხოვრებელი. კრილი.

Жилая башня Г. Нижарадзе. Разрез.

ხის შეფიციერაზე. გრძივ კედლებს შორის თავზეა გადებული. თავზესა და განივ კედლებს შორის დაქანებულია დაწყობილი ერთმანეთთან მიჯრით ხის საკმაო სისქის ფენილი. რომელზეც მეორე სართულის იატაკის ღონემდე კვითკირის წყობაა აყვანილი და მოსწორებული. განივ კედლებს შორის მათ ცენტრალურ ნაწილში კოჭია გადებული, რომელსაც თავზე ხის პატარა სვეტის საშუალებით გადასცემს დატვირთვების ნაწილს.

მეორე-მესამე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზეა მოწყობილი. საკმაო დიამეტრის მქონე კოჭებზე ხის ძელები ყოფილა დაფე-

გ. ნიჟარაძის კოშკური

 საცხოვრებლის აქსონომეტრი-

 ტრიული კრილი.

Аксинометрический

 разрез жилой башни

 Г. Нижарадзе.

ა. ნიჟარაძის კოშკური საც-

 ხორებელი სოფ. ჩაეაშ-

 ში. გეგმები. (0-ით აღნიშ-

 ნულია გეგმა კარის ქვემო-

 თა დონეზე.

Жилая башня


 И. Нижарадзе

 в с. Чажаши. Планы

 (0 — обозначен план

 башни ниже уровня

 двери).



ნილი, რომლებზეც ხავსი იყო მოყრილი. ხოლო ზემოდან თიხოვანი მიწის


 დატკეპნილი იატაკი მოეწყობო.

სახურავი ორქანობიანია. სახურავ მასალად ფიქალის ფილებია გამოყენე-

 ბული.


პირველ სართულში (მაჩვიბ) შესასვლელი ჩრდილოეთის კედელშია გაჭ-

 რილი. კარს წირთხლებთან გარეთკენ ნაოთხალები აქვს გამოყოფილი. წირთხ-





ა. ნიგარაძის კოშკური სა-
ცხოვრებლის კრილი და
ფასადი.

Разрез и фасад жилой
башни. И. Нижарадзе.



ჩარკვიანების შეწვევილებუ-
ლი კოშკური საცხოვრებ-
ლები სოფ. ჩეიხიანში.
გეგმები.

Спаренные жилые
башни в с. Чвибиани.
Планы.





ლებში საურდულე ხერელებია. ამ კარით კედლის სისქეში მოწყობილ ჰოლში შედიოდნენ, რომლის ზომებია 2,4X1,5 მ. ჰოლიდან მაჩვიებში შესასვლელად კიდევ ერთი კარის ღიობია კედელში დატოვებული.

მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში ბუნებრივი უნდა ყოფილიყო კარის აღმოსავლეთის კედელში გაკეთება. ამ მხარეს სამარხილე გზა ვადის და საკმაო ზომის მოედანიც ეკერის ნაგებობას; ამდენად შესასვლელი მოხერხებული იქნებოდა როგორც ყოფითი ისე სამეურნეო თვალსაზრისითაც, თუმცა ეს შესუსტებდა დაცვისუნარიანობას. მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან გამომდინარე კარი ძნელად მისადგომი მხარისაკენაა გაკეთებული. ჩრდილოეთის კედელში დატოვებული კარის წინ მაღალი კლდეა და ნაგებობაში შესასვლელად კარამდე ხის დაკიდული აივანი იყო მოწყობილი. მას შემდეგ, რაც დაევიომა ფუნქციამ დაკარგა მნიშვნელობა, სამხრეთის კედელში გაჭრეს ახალი კარი, ძველი კი გააუქმეს.

პირველი სართულის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებში თითო სარკმელია, დასავლეთის კედელში კი საქონლის პატივის გადასაყრელი ხერელი. დასავლეთის კედლის გასწვრივ საქონლის სადგომია მოწყობილი, რომელიც საცხოვრებლისაგან ხის ტიხრითაა გამოყოფილი. ტიხარში ორი კარია და მათ შორის საქონლის თავის გამოსაყოფი სამი სწორკუთხოვანი ღიობი. სამყოფის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კერა ყოფილა მოწყობილი, რომლისგანაც მხოლოდ აყარი შემორჩენილა.

მეორე სართულზე ასასვლელი კიბე ჩრდილოეთის კედლის სისქეშია მოქცეული. ამ სართულის სამხრეთის კედელში ორი სარკმელია, რომელთა შორის ერთი ნიშია ვაკეთებული. ნიშში გამჭოლი ხერელი გაუჭრიათ და სათოფურად უქცევიათ. დასავლეთის კედელში სარკმელია, ხოლო ჩრდილოეთისაში იატაკის დონეზე ოდნავ დაბლა სისველის გასატარებელი ხერელია. მეორე სართულზეც კერა ყოფილა მოწყობილი. ეს სართული საცხოვრებლად გამოიყენებოდა.

მესამე სართულზე ჭერში გაჭრილი საძრომით აღიოდნენ. სართულს საბრძოლო პარაპეტი აგვირგვინებს, რომელიც კედლების მთელ პერიმეტრს მოიცავს. პარაპეტი მზიდი კედლებიდან გადმოცოლებულია 20 სმ. და საფასადე მხარეს თაღოვანი ქონგურებია მოწყობილი, რომლებშიც სათვალთვალ და სათოფური ხერელებია გაკეთებული. ეს სართული თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა.

სოფ. ჩაქაშში ავზომით მეორე კოშკური საცხოვრებელი, რომელიც ილია ნიქარაძეს ეკუთვნის. იგი სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია აგებული. საშენად კედლის ქვაა გამოყენებული, შემკრავად — კირის ხსნარი. პირველი — მეორე სართულების ექსტერიერში კედლების ნაწილი ფიქალის დიდი ფილებითაა მოპირკეთებული. ზედა სართულებზე შიგნიდან შელესვის კვალია შემორჩენილი.

ნაგებობის გეგმა კვადრატულია (10,5X10,7 მ). იგი სამსართულიანია. მისი სიმაღლე 12,85 მ-ია. სართულშუა გადახურვები და სახურავი ჩაქცეულია. კედელზე დარჩენილი ბუდეების მიხედვით სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზე ყოფილა მოწყობილი. ორქანობიანი სახურავი ფიქალის ფილებისაგან იყო გაკეთებული.




ჩარკვიანების შეწყველებული კოშკური
საცხოვრებლების ფასადი.

Фасад спаренных жилых башен.
Чарквиани.

ჩარკვიანების კოშკური საცხოვრებლის
კრილი.

Разрез жилой башни Чарквиани.



ნაგებობაში შესასვლელი კარი ჩრდილოეთის კედელშია მიწის დონიდან 2 მ-ის სიმაღლეზე. კარის წინ საფასადე მზარეს ქვის კიბეა. კარისავე მზარეს კედელში სარკმელია; თითო სარკმელია სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში. აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლების გასწვრივ საქონლის სადგომაა მოწყობილი, რომელიც საერთო ფართისაგან ხის ტიხრითა გამოყოფილი.

მეორე სართულზე ასასვლელად ხის მუდმივი კიბე უფილა მოწყობილი ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხესთან. ამ სართულის ოთხსავე კედელში თითო სარკმელია და რამდენიმე ნიში გაკეთებული.



მესამე სართულს ჭერში დატოვებული საძრომით უკავშირდებოდნენ. აღმოსავლეთის კედელზე სარკმელია და ნიში გაკეთებული, დასავლეთის კედელზე სარკმელია, ხოლო სამხრეთისაში — კარის მსგავსი ლიობი. ჩრდილოეთის კედლის ცენტრში, შესასვლელი კარის თავზე ოთხკუთხა სალოდეა მოწყობილი.

უშგულში, სოფ. ნებიანიანს სამხრეთის მისადგომთან ჩარკვიანების შეწყველებული კოშკური საცხოვრებელია აგებული. სამუნად ძირითადად ფიქალია გამოყენებული, შემკრავად — კირის ხსნარი. მეორე-მესამე სართულზე კედლებს შიგნ-დან შელესვის კვალი ემჩნევა.

ნაგებობა გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხედის მოხაზულობისაა (12,2X7,2 მ). მისი ზედა ნაწილი ჩამოქცეულია. ნაგებობები ოთხსართულიანი იყო. მათი სიმაღლის 12,4 მ-ია შემორჩენილი.

პირველ-მეორე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზეა მოწყობილი, მეორე-მესამე სართულებს შორის კი ქვიტიკრით აყვანილი ცილინდრული თალით.

პირველ სართულში შესასვლელად სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში თითო კარია გაჭრილი. ერთი კარის ლიობია დატოვებული ნაგებობებისათვის საერთო კედელშიც. აღმოსავლეთის კედელში სარკმელია, ჩრდილოეთისაში ორი სათოფური და ერთი სარკმელი, სამხრეთის კედელში კი ნიშია და სათოფური, ორი ნიშია მოწყობილი საერთო კედლის დასავლეთის მხარეს.

მეორე სართულის აღმოსავლეთის სადგომში შესასვლელი სამხრეთის კედელშია. კარის წინ ქვის კიბე და ბაქანია მოწყობილი. ამავე მხარეს სარკმელია. თითო სარკმელია აგრეთვე სადგომის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებში. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხესთან ზედა სართულზე ასასვლელია გაკეთებული.

მეორე სართლის დასავლეთის სადგომში შესასვლელიც სამხრეთის კედელშია მიწის დონიდან 2,9 მ-ის სიმაღლეზე. როგორც ჩანს ამ სართულს ხის გადასაადგილებელი კიბით უკავშირდებოდნენ. კარისავე მხარეს სარკმელია: ერთი სარკმელია დასავლეთის კედელშიც. სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში მესამე სართულზე ასასვლელი ლიობია. საერთო კედლის ორსავე მხარეს კედლის წყობაში თითო ბუხარია გაკეთებული. მესამე სართულის დონეზე რამდენიმე სარკმელი და სათოფური ზერელია.

ბოლო სართულის დამაგვირგვინებელი თაღოვანი პარაპეტის შემორჩენილ ფრაგმენტებში სათოფური ზერელები არ შეინიშნება, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მას მხოლოდ დეკორაციული დანიშნულება ჰქონდა.

ზემოთ მოყვანილი აღწერილობებიდან ნათლად ჩანს, რომ კოშკური საცხოვრებლები წარმოადგენენ ქვიტიკრით ნაგებ მონუმენტურ ნაგებობებს, რომლებშიც საცხოვრებელი, სამეურნეო და დაცვიით ფუნქციების მატარებელი სათავსები გაერთიანებულია და ამასთან ევრტიკალურ ჭრილშია განლაგებული.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ კოშკური საცხოვრებლების პირვანდელი ფორმები მხოლოდ უშგულის სოფლებშია შემონახული. როგორც ეს სოფლები, ისე მისი შემადგენელი ნაგებობები დაცულია სახელმწიფოს მიერ და იმედაა, რომ მომავალ თაობებს მათი პირველყოფილი სახით ნახვის საშუალება ექნება.

ბარლო ტაბატაძე

სოფელ ვანის ეკლესია და მისი შემოგარანი

სოფ. ვანში (ორჯონიკიძის რაიონი) არის ვანის ღვთისმშობლის ეკლესია. ეს მრავალმხრივ საინტერესო ძეგლი ამჟამად მთლიანად აღდგენილია და მაჩენილი ჰყავს დარაჯი. ძეგლის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ძირში აღმოჩნდა, (აღბათ) საქვალე, რომელიც ქვითაა ნაგები და თაღით გადახურული. სამშენებლო ნაგვისაგან საქვალეს ამოწმენდისას აღმოჩნდა ადამიანის ძვლები, ლითონის ნაკეთობები და ორი თიხის ჭამი. საინტერესო იქნება საქვალეს მთლიანად გაწმენდა. მისი ჩამოჭყეული თაღის აღდგენა და გამაგრება.

ინტერესს იწვევს ეკლესიის ეზოში დაცული ორი სვეტისთავი, ამ გათლილ, დამუშავებულ (ზედ სპირალური ჩუქურთმითა ამოკვეთილი) ბაზალტის სვეტისთავებს ერთი შეხედვით თითქოს ეკლესიასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ თუ გავყვებით რესტავრაციის კვალს, შეიძლება აღვადგინოთ ამ სვეტისთავების ადგილი.

პირველად ვანის ღვთისმშობლის ეკლესია XIX საუკუნეში შეუქცებიათ, სახსრები გამოუყვია ცნობილ ეპარს მანჯავიძეს. ხანდაზმულთა გადმოცემით შეიძლება აღვადგინოთ თუ რა სამუშაოები ჩატარებიათ მაშინ: ეკლესიისათვის მიუშენებიათ საქვალე და ხის სამრეკლო, რომლის ხის კონსტრუქციებიც დღეხანს ეყარა ეკლესიის ეზოში, კედლებისთვის შემორტყვამთ ლითონის ქამარი, იმ დროისათვის უნდა იყოს აგრეთვე შეთეთრებული ინტერიერი.

ოცინ წლებში ეკლესია მოუნახულებია ივანე ჯავახიშვილს. მისი მითითებით კედელზე მიუმაგრებიათ აბრა და დარაჯიც მიუჩენიათ, რამაც გადაარჩინა ეკლესია დანგრევას. ეკლესიაში ყოფილა მწერალი მახვილ ჯავახიშვილიც, ის ხშირად მოდიოდა სოფ. ვანის სკოლის მასწავლებელთან ნიკო (კოლია) სახუაძესთან არსენა მარაბდელისათვის საჭირო მასალების შესაყრებად, (იხ. „არსენა მარაბდელის“ შენიშვნები) მასაც უთქვამს რომ ვანის ეკლესია მეტად საინტერესო ძეგლია და მოვლას საჭიროებსო.

ჩვენ, პირველად ვანის ეკლესია ამ ოცდაათი წლის წინათ მოვინახულეთ (მე და ჩემმა ძმამ, ამჟამად მოქანდაკე კიმი ტაბატაძე, რომელმაც მაშინ რამოდენიმე ფრესკა ჩიხატა) ეკლესიის ინტერიერმა ჩვენზე დაუეიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა: შეთეთრებული კედლები თალიდან გამოყოფილ წვიმას ჩამორეცხა და ნათლად გამოეჩინა დიდებული ფრესკები, რომელთა უმნიშვნელო ნაწილია დღესდღეობით შემორჩენილი. საკუთრთხვეული გამოყოფილი იყო ხის კანკელით, რომელიც მოხატული იყო ზეთის საღებავით,



ეტყობოდა რომ კანკელის მოხატულობა და საერთოდ თვით კანკელი უფრო გვიანდელი იყო, ვიდრე კედლის მხატვრობა. საკურთხეველში ეყარა ვიწრო ნივთი: შანდლები, ჯვრისწერისათვის საჭირო გვირგვინები, ანაფორები, ხატები და სხვა. მაგრამ ყველაზე მეტად, რამაც მაშინ მიიქცია ჩემი ყურადღება იყო სქელტანიანი წიგნები, რომლებიც ნიშებში ეწყა.

ხის კანკელი, უდაოა, მაშინ იყო გამართული და მოხატული, როცა ეკლესიის ინტერიერი შეათეთრეს, მაგრამ რა იყო მანამდე? ხუთი წლის წინათ ეკლესიის ახლანდელმა დარაჯმა ეკლესიის კედლის ქვის წყობაში იპოვა თითქოსდა გადამალული კირქვის გათლილი ფრაგმენტო, რომელზედაც ქართული წარწერა აღმოჩნდა. საიდან განჩნდა გათლილი თეთრი ქვის ფრაგმენტი ეკლესიაში, ხომ არა აქვს საერთო მას სვეტისთავებთან? ხომ არ არის გათლილი ქვის ეს ნარჩენი და სვეტისთავეები იმ ადრინდელი კანკელის ნარჩენები? თუ ეს ასეა, მაშინ გაადვილდება ვანის ლეთისშობლის ეკლესიის დათარიღება.

მინდა შევეხო მეორე საკითხსაც — სტატიაში „ვანის წმ. გიორგის ეკლესია“ (ძეგლის მეგობარი № 29, 1972) ავტორი თეიმურაზ საყვარელიძე წერს: ფრესკაზე გამოსახულია მელქისედეკ აბაშიძე, რომელიც ეკლესიის წინამძღვარი ყოფილა. შემდეგი ისტორიული პირი კვლავ აბაშიძეა — სახელმწიფო მოხელე-მოლარეთუხუცესი. რა კავშირი ჰქონდათ მეფის კარზე წარჩინებულ ამ პირებს სოფ. ვანთან და ვანის ლეთისშობლას ეკლესიასთან? როგორც ისტორიული წყაროებიდან ვიცით, ზემო იმერეთის ეს ტერიტორიები თავად აბაშიძეებს ეკუთვნოდათ, სხვა სოფლებიდან განსხვავებით, სადაც აბაშიძეების ყმები ცხოვრობდნენ სოფ. ვანი თავისუფალი გლეხებით იყო დასახლებული, ძირითადად ტაბატაძეებით და მიწებიც მათ ეკუთვნოდათ. ვასალური დამოკიდებულება გადმოცემით დადასტურებული არ არის, ყოველ შემთხვევაში ბოლო საუკუნეებში. ამ თვალსაზრისით შეიძლება საინტერესო იყოს შემდეგი ფაქტი, — სოფლის საყანე ადგილას (დაახლ. 2 ჰექტარი) მას ადგილობრივი მოსახლეობა ვაკესაც უწოდებს, საცხოვრებელი სახლების საძირკვლის გაჭრისას აღმოჩნდა ქვევრები, სხვადასხვა ნივთებით. მათ შორის ოქროს გულსაკიდიც (1937-38 წწ.). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფელი ეკუთვნოდა გელათის წინამძღვარს მელქისედეკ აბაშიძეს, მაგრამ შემდეგში, როგორც ისტორიული წყაროებიდან ვიცით აბაშიძეების გავლენა შემცირდა. ალბათ, XVIII საუკუნიდან სოფ. ვანი და ეკლესიასთან აღმართულა ციხეც გადავიდა მეფის კარზე დაწინაურებული ფეოდალის ჩიქოვანის ხელში, მას, გრიგოლ ჩიქოვანს, უფრო ხშირად იხსენებენ სოფლელები, მასზე ლეგენდებსაც კი ქვებთან.

აბაშიძეების ადგილმონაცვლობაზე, იმაზე რომ ვანი მათი ადრინდელი სამყოფელი იყო, მეტყველებს შემდეგი ფაქტი: სოფ. ლაშესთან, იქ სადაც აბაშიძეების სასახლის ნანგრევებია, საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს ბეჭობზე არის ეკლესიის ნანგრევები, ამ ნანგრევებით დაინტერესებისას დავახუსტეთ, რომ ეს არის ვანის ლეთისშობლის ეკლესია, ხატები სოფ.ვანის ეკლესიიდან ყოფილა გადმოსვენებული. აღსანიშნავია ისიც რომ სოფ. ვანში მცხოვრებ ტაბატაძეების ერთერთ ბუნს, კერძოდ კაციაშვილებს, დღესაც აბაშიძეებად იხსენიებენ. ეს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე თუ რა დიდი ფესვები ჰქონდა აბაშიძეებს ვანთან.



ვანის ეკლესიის ჩრდილოეთით აღმართულია მთა, რომელსაც ნაქელოვანულნი ეძახიან. მთის წვერზე დღესაც კარგადაა შემორჩენილი ციხე გალავნის შემოღობვა. თუშები, თუმცა შქერით არის დაფარული. ეს ციხე ეკუთვნოდა ჩიქოვანს. როგორც სოფლის ხანდაზმული მცხოვრებლების მონაყოლიდან ჩანს, ის დიდად და ახლოებული პირი ყოფილა სოლომონ—II სთან, როგორც ჩანს, მეფის რუსეთის ექსპანსიას დასავლეთ საქართველოში, ვანის ციხე წინ აღუდგა ჩიქოვანის სარდლობით. ამას ისიც მოწმობს, რომ ციხე მაშინ მთლიანად დაუნგრევიათ.

მთის ფერდობზე დღესაც ნათლად ჩანს ქვით ნაგები ტერასების კვალი, იქვე დიდი ლოდები და ქვები ყრია, (შეიძლება ციკლოპური ნაგებობის ნაშთები) ქვებს შორის ერთ-ერთ ქვაბულიდან ცივი ჰაერი უბერავს, იმდენად ცივი, რომ ხშირად სოფლებში მას ხელოვნურ მ ცივრად იყენებენ. ქვაბულში ბიჭი შემძვრალა და ორი თვეს ჭალა და თავგადაღუსილი კაყიო სავ ქოთანს უბოვია. ქოთანს სასწრაფოდ დაუმტკრევიათ, (ამწუხაროთ თავის ქალაც დაუმტკრევიათ და მათი ნარჩენები ველარ ებოვებო). ქოთანის ნარჩენები და შეგროვილი კაყი არქეოლოგ თუშაბრამიშვილს ვუჩვენებო, აღმოჩნდა, რომ ქოთანს ბრინჯაოს ხანის იყო, დამუშავებული კაყის იარაღით.

ორჯონიკიძის რაიონის მთელი ეს ტერიტორია არქეოლოგიური თვალსაზრისით თითქმის შეუსწავლელია, არა და ისეთი ტოპონიმების არსებობა როგორცაა: ვანი, ნაქალაქარი, ნატაქრალი, ქვაზინება და სხვა, სრულ უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საინტერესო არქეოლოგიური აღმოჩენების მოწმენი გავხვდებით. ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს ისიც, რომ ამ საუკუნის დასაწყისში სოფლის მასწავლებელთან ნიკო სახუაძესთან, რომელიც ფრიად განათლებული და პატრიოტი კაცი ყოფილა მოდიოდნენ არქეოლოგები. მათ ჩაუტარებიათ გათხრები. (სად ზუსტად რა ადგილას, სახუაძის ქვრივს არ ახსოვს) თუ დაუეჭვრებო მონაყოლს საინტერესო მასალებიც შეუგროვებიათ. (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და თიხის ნაკეთობები).

ამ რეგიონში რომ ცხოვრება ძველთაგან ჩქეფდა, მიგვითითებს საეკლესიო დღესასწაული — კვირიკობა. კვირიკობა იმართებოდა ივლისის თვის ბოლოს კახორის მთაზე, სოფ. ვანიდან სამაოდე კილომეტრის მოშორებით, ამიტომ მას კახობობასაც უწოდებენ. აქ, ამ მთაზე, მდგარა ბაზილიკა — წმ. გიორგის ეკლესია, მორწმუნენი ერთ ღამეს წმ. გიორგის ეკლესიაში ათევენდენ, ხოლო მეორე ღამეს ვანის ლეთისწმობლის ეკლესიაში. კახორის ბაზილიკაში, რომელიც ალბათ, ძველი წარმართული სარწმუნოების საკურთხევლის ადგილას იდგა, აღმართული ყოფილა ხავერდის მოსასხამში შემოსილა ხის დიდი კვარი, წმინდა გიორგის სახის გამოსახულებით(?) კახორის ეს ეკლესია მწერალ ლევან გოთუას აქვს ნახსენები რომანში „გმირთა ვარაში“.

ჩვენი აზრით შესაძლებელია, როგორც სოფ. ვანში, ისე მის შემოგარენში არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი იქნას საინტერესო მასალები, რომლებიც შუქს მოფენენ ჩვენი ერის ისტორიის უცნობ ფურცლებს.

ანა კლდიაშვილი

**პარქიის ანანაურის ეკლესიისა და მიმდებარე დასავლეთის
სათავსის მოხატულობათა შედარება**

ვარძიის გამოქვაბული კომპლექსის თხუთმეტ ეკლესიათაგან მხოლოდ რამდენიმე შემოგვინახა კედლის მხატვრობის ნიმუშები. მათ რიცხვშია ვარძიის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, სულ ზედა ტერასაზე მდებარე ერთნავიანი, კლდეში ნაკვეთი, მცირე ზომის (4,5X2,2) ე. წ. ანანაურის ეკლესიისა და მის დასავლეთით მდებარე, შედარებით უფრო დიდი ფართობის (8,5X3,5) ეკლესიის მოხატულობა. როგორც თვით ეკლესია, ისე ეკლესიის მთლიანად იყო მოხატული, მაგრამ ამ უკანასკნელში მხატვრობა ფრაგმენტულად შემორჩა. მხატვრობის ჩვენამდე მოღწეული ნაწილები საკმაოდ კარგადაა შემონახული.

ეს ძეგლი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, თუმცა დღემდე საგანგებოდ არ არის გამოკვლეული. ამ მოხატულობათა შესრულების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. თუმცა ავტორები ორივეს გვიან ხანას, XV-XVI სს-თა მიჯნას ან XVI-ს, მიაკუთვნებენ¹. ეკლესიისა და ეკლესიის მოხატულობათა შესწავლამ გამოავლინა მათ შორის აშკარა სტილისტური სხვაობა. ჩვენი მიზანია ამ სხვაობის წარმოჩენა შედარებითი ანალიზის საფუძველზე და თითოეული მხატვრობის შესრულების თარიღის დადგენა.

ანანაურის ეკლესიის მოხატულობის ძირითადი კომპოზიციური აქცენტი² საკურთხეველის კონქში წარმოდგენილი დიდი ზომის ლეთისშობლის წელსზემო გამოსახულება ორანტის პოზაში, ე. წ. „ლეთისშობელი პლატიტერა“, მთავარანგელოზებს შორის³. საკურთხეველის მეორე რეგისტრი მსხვერპლის თაყვანისცემის კომპოზიციას ეთმობა — ცენტრში წარმოდგენილია „ხატი მიძინებისა“⁴, მის აქეთ-იქით ორ-ორი ეკლესიის მამა გაშლილი გრაგნილებით.

მეორე მნიშვნელოვანი აქცენტი მოხატულობისა, ჩრდილოეთის კედლის ნიშაში გამოსახული დიდი ზომის კომპოზიციია — „ქრისტე დიდებითა“.

ტაძრის დანარჩენ ნაწილებში, კედლებზე, კამარასა და ჩრდილოეთის ნიშის თაღში გამოსახულია საუფლო დღესასწაულთა ციკლის თორმეტივე სცენა. მათი განლაგებისას არ არის დაცული ისტორიული თანმიმდევრობა, სცენები სიმბოლური მნიშვნელობის მიხედვითაა დაჯგუფებული. ამას ემატება ორი ქტიტორთა და რამდენიმე წმინდანის გამოსახულება, რომელნიც ტრადიციულად მოხატულობის ქვედა რეგისტრშია წარმოდგენილი.

დასავლეთის სათავსში მხატვრობა შემოგვრჩა აღმოსავლეთ ნაწილში, ეკლესიაში შესასვლელი კარის გარშემო და თაღში. მოხატულობის აზრობრივ და კომპოზიციურ ცენტრს, როგორც ჩანს, სათავსიდან ეკლესიაში გასასვლელი კარის ტიმპანში მოთავსებული მცირე ზომის „ვედრების“ კომპოზიციამ წარმოადგინა, რომლის გარშემოც დანარჩენი გამოსახულებები ნაწილდება. „ვედრების“ თავზე, ნახევარწრიული მოყვანილობის არეზე წარმოდგენილია „სულნიშნის მოფენის“ კომპოზიციამ, მის სამხრეთით ივლიტასა და კვირიკეს ფრონტალური გამოსახულებებია, კარის ჩრდილოეთით კი, მეფედ კურთხევის სცენაა წარმოდგენილი.

აღმოსავლეთის კედლის თაღის შემორჩენილ ჩრდილო ნაწილში, ნეთ-ს თავზე სამი სვენაა გამოსახული — „ზარება“, „კრება ანგელოსთა“ და „იუდეველნი სახუმიალესა შინა“.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ეს ორი მოხატულობა სტილისტურად საგრძობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს სხვაობა ელინდება როგორც მათ კომპოზიციურ გადაწყვეტაში, ისე ცალკეული სველების აგებაში, ფიგურების პროპორციებისა და მოძრაობის ხასიათში, სამოსის დამუშავებასა და ნახატის ხასიათში, კოლორიტსა და ტიპაჟში.

ანანაურის ეკლესიის არქიტექტურის თავისებურება, ნავის მცირე სივრცე და მასში ორი დიდი ზომის არქიტექტურული ნაწილი — კონჩი და ჩრდილოეთის ნიშა — გარკვეულად განსაზღვრავს მხატვრობის აგებას: ზომით გამორჩეულ ამ ნაწილებშია მოთავსებული აზრობრივად ყველაზე მნიშვნელოვანი სველები. ამგვარად, ანანაურის ოსტატი მხატვრობის განვითარებისას, ამ შემთხვევაში, მისდევს ინტერიერის ხუროთმოძღვრულ ფორმებს; დასავლეთის კედელზეც, გამოსახულებათა განაწილება ინტერიერის არქიტექტურულ ფორმებთანაა შეთანხმებული: კარის თავზე „ლეთისმშობლის მიძინება“ გამოსახული, კარის აქეთ-იქით კი თითო მთავარანგელოზია მთელი ტანით წარმოდგენილი. მაგრამ ეს პრინციპი მხატვრობაში თანმიმდევრულად არ არის გატარებული. სახელდობრ, ოსტატი ერთმანეთის მოპირდაპირე, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე მხატვრობის განთავსებისას არ იცავს შესატყვისობას. ჩრდილოეთის მხარეს, ისევე როგორც საკურთხეველსა და დასავლეთის კედელზე მხატვრობა ორ რეგისტრადაა განლაგებული, მაშინ, როდესაც კამარის სამხრეთი კალთა და კედელი სამ რეგისტრს შეიცავს. მხატვარი ყოველთვის როდი უწყევს ანგარიშს ინტერიერის არქიტექტურულ დანაწევრებას. მაგ: სამხრეთის კედელზე, ცენტრიდან ოდნავ აღმოსავლეთით გაჭრილი სარკმელი კედლის მოხატულობის კომპოზიციის მათგანინებელი კარ არის, არამედ თავისთავად არქიტექტურული დეტალია, რომლის გაკვეთილს განლაგებულია სრულიად განსხვავებული ზომის სველები: კედლის დასავლეთ მონაკვეთში ორი საკმაოდ მოზრდილი, პორიზონტულად გაშლილი სვენაა — „ლაზარეს აღდგინება“ და მის ქვეშ „სულოწმინდის მოფენა“; აღმოსავლეთ ნაწილში კი — შედარებით უფრო მცირე ზომის „იერუსალიმად შესვლა“ და მის ქვემოთ სულ ერთი ციკქანათლისღების“ კომპოზიცია. ასეთი განთავსების გამო სარკმლის ქვეშ რჩება საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი, რომელსაც ოსტატი ორნამენტით ავსებს. ამასთან, სარკმელი ზედა მომრგვალებული ნაწილით „იერუსალიმად შესვლის“ სვენაში იჭრება და იმ ადგილს იკავებს, სადაც ამ სველის იკონოგრაფიის მიხედვით, ქრისტეს შესახვედრად გამოსული იერუსალიმის მკვიდრთა მთელი ჯგუფი უნდა ყოფილიყო გამოსახული. ოსტატმა მათი რიგზე ორამდე შეამცირა.

როგორც დავინახეთ, სამხრეთის კედლის მოხატულობა მოკლებულია კომპოზიციურ მთლიანობას, მას არ გააჩნია ერთიანი მათგანინებელი ღერძი, მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურული დეტალი — სარკმელი ოსტატს ამის საშუალებას აძლევდა; მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი ოსტატის წინაშე ეს ამოცანა არც იდგა. საქმე ისაა, რომ როგორც ამ მოხატულობის იკონოგრაფიულმა ანალიზმა დაგვანახა, სამხრეთის კედელზე გამოსახული სველები, პირველ რიგში, მოპირდაპირე (ჩრდილოეთის) კედელზე წარმოდგენილ სველებს უკავ-



ვარძია. Церковь Анаури.
«Благовещение».

ვარძიის ანანაურის ეკლესია. „ხარება“.

შირდება აზრობრივად და ზომებითაც მათთან არის შეფარდებული. მაგ: სამხრეთის კედლის პირველ რეგისტრში გამოსახული „ლაზარეს აღდგინება“, როგორც წინასწარუწყება მკვდრებით აღდგომისა, ჩრდილოეთის კედელზე „ჯვარცმისა“ და „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის“ საპირისპიროდაა გამოსახული და ზომითაც, ერთად აღებული ამ ორი კომპოზიციის ტოლია. ანანაურის მოხატულობის ოსტატისათვის, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია გვიანი ხანის (XV—XVI) ჭეგლებსათვის, მთავარია იდეის, დოგმის გამოკვეთა, რასაც ზოგჯერ მხატვრობის კომპოზიციური მთლიანობაც კი ეწირება. ეს კი, მთელ რიგ სხვა ნიშანთან ერთად — ძალზე განსხვავებული ზომის სცენათა ერთმანეთის გვერდით შეთავსება, რეგისტრების გამყოფი ხაზების აცდენა, სარკმლის შეჭრა სცენაში, ორნამენტული მოტივით თავისუფალი მონაკვეთის შევსება, თიშავს გამოსახულებებს ერთმანეთისაგან, ანაწყურებს კედლის კომპოზიციას. ამიტომაც, თითოეული სცენა გარკვეულ ფარგლებში დამოუკიდებელია, ჩაკეტული და ცალკეულ სცენებად, ხატებად აღიქმება. ეს ნიშანი საერთოდ დამახასიათებელია პალეოლოგოსთა ხანის მოხატულობათათვის⁶.

იგივე ნიშნები ვლინდება ჩრდილოეთის კედლის კომპოზიციურ გადაწყვეტაშიც. თუმცა კი აქ, თითქოს გვაქვს სიმეტრიის ღერძზე მოთავსებული კომპოზიციური ცენტრი — დიდი ნიშა, რომლის გარშემოც დაჯგუფებულია შედარებით თანაბარი ზომის სცენები. რეგისტრის გამყოფი პორტიონტული ხაზები აცდენილი არაა, მაგრამ, ვერტიკალური ხაზები ერთმანეთის პარალელურად არ მიემართება, რაც ერთი შეხედვისთანავე არღვევს კედლის კომპოზიციურ მთლიანობას. ამასთან, სცენები არასწორი მოყვანილობის არეებზეა



ვარძიის ანანურის ეკლესია, დასავ-
ლეთის ეკვდერი. „ერებაა
ანგელოსთა“.

ვარძია. Церковь Анаури.
Роспись западного придела. «Собор
архангелов».

მოთავსებული, სცენათა კუთხეები თითქოს იკვეთება ნიშით, რაც კომპოზიციის მოუწესრიგებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამრიგად, ჩრდილოეთის კედელზე კომპოზიციური ცენტრის არსებობის მიუხედავად მისი გადაწყვეტა მაინც სამხრეთის კედლის მოხატულობის მსგავსია.

ეკვდერის მოხატულობის ერთიან კომპოზიციურ გადაწყვეტაზე საუბარი არ ხერხდება, ვინაიდან, აქ მხატვრობა მხოლოდ აღმოსავლეთის კედელზეა შემორჩენილი და ჩვენც მხოლოდ მას შევხებით. კედელში კარი გაჭრილია არა ცენტრში, არამედ ოდნავ მარცხნივ, რაც განაპირობებს ამ კედელზე კომპოზიციის ასიმეტრიულ გადაწყვეტას, მაგრამ მოხატულობას აქ გააჩნია კომპოზიციური ცენტრი — კარის თავზე ტიპანში გამოსახული „ვედრებისა“ და მის თავზე ნახევარწრიული მოყვანილობის არეში ჩაწერილი „სულიწმინდის მოფენის“ კომპოზიციის სახით. ეს ცენტრალური ბირთვი, თუმცა რეგისტრის ხაზით არ არის გამოყოფილი დანარჩენი გამოსახულებებისაგან, მაგრამ თავის სტრუქტურით მკაცრად შეკრული, ორგანიზებული და ჩაკეტილია. მის გარშემო თავისუფლადაა განლაგებული სხვადასხვა ზომისა და მასშტაბის ფიგურები, რითაც ეკვდერის ამ კედლის კომპოზიცია ენათესავება ჩვენ მიერ ზემოთ დახასიათებული ეკვდერის სამხრეთის კედლის მოხატულობის გადაწყვეტას, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ეკვდერის ოს-

ტატი მთლიანობაში იაზრებს კედლის კომპოზიციას. კარის აქეთ-იქით განლაგებული ფიგურები ერთმანეთს აწონს. სწორებენ: მეფის თითქმის ნატურალურ ზომის ფიგურას კარის საპირისპირო მხარეს, ქვედა რეგისტრში, სამი წმინდანის გამოსახულება აწონასწორებს, ქტიტორის თავზე გამოსახულ ანგელოზს კი — იელიტასა და კვირიკეს ფიგურები უპირისპირდება, ზედა რეგისტრში. ამდენად, კომპოზიცია შემადგენელ ნაწილთა წონასწორობის პრინციპზეა აგებული. კომპოზიციის წონასწორობის ამოცანიდან გამომდინარეობს ოსტატი, როდესაც „სულიწმინდის მოფენის“ სცენაში არ იცავს მკაცრად მის ნახევარწრიულ მოყვანილობას და რკალს მაჩვენებს მხარეს აფართოებს, რასაც ერთგვარად დინამიზმის ელემენტი შეაქვს კომპოზიციაში. მის დინამიკურობას აძლიერებს ისიც, რომ კედელზე გამოსახული სხვადასხვა ზომის ფიგურათა ვერტიკალების დიხვ რიტმს უპირისპირდება „სულიწმინდის მოფენის“ კომპოზიციაში ფიგურათა ერთიანი დინამიკური და სამოსის ნახატის ტალღოვანი ხაზობრივი რიტმი. წონასწორობა ამ კედელზე ფერადოვანი აქცენტების განაწილებითაცაა მიღწეული. ფონის ლაქვარდოვანი ცისფერი ამოლიანებს კედელს. „სულიწმინდის მოფენის“ სცენაში ცისფერ ფონზე რიტმულად ნაწილდება მოციქულთა სამოსის იასამინფერი, ოქრა, მწვანე, ცისფერი. ამ საერთო ფერადოვნებაში აქცენტების სახით გამოყენებულია წითელი.

ამგვარად, ეკედერის აღმოსავლეთი კედლის მოხატულობის კომპოზიცია, ერთი მხრივ, თავისუფალი მიდგომით ხასიათდება, აქ ვხვდებით ძალზე განსხვავებული ზომის გამოსახულებებს, რომლებიც თავისუფლად, ასიმეტრულად არიან განლაგებულნი: მეორე მხრივ, მთელი კედლის კომპოზიცია სულელიად მოწესრიგებულია მასათა წონასწორობის, ერთიანი ფერადოვან-ხაზობრივი რიტმის ხარჯზე. ყოველივე ამის გამო მთელი კედელი დინამიკურ, წონასწორობაში მოყვანილ ერთიან ორგანიზმად წარმოგვიდგება, სადაც თითოეული დეტალი მთელის ორგანული ნაწილია და არა დამოუკიდებელი ერთეული, როგორც ეს ეკლესიის სამხრეთი კედლის მოხატულობაში გვქონდა. ამ საკითხში ეს ორი ძეგლი ეპოქალურად განსხვავებულ აზროვნებასა და მიდგომას ამჟღავნებს. ეკლესიის მხატვრობა, სადაც დაკარგულია კომპოზიციური მთლიანობის შეგრძნება გვიანი შუა საუკუნეების (XV—XVI სს.) ტიპური ძეგლია. ეკედერის მოხატულობა კი — XII—XIII სს. მიჯნისა და XIII ს. I ნახევრის ძეგლებისათვის (ეარძია, ბეთანია, ყინწვისი, ტიმოთესუბანი, ბერთუბანი) დამახასიათებელ ნიშნებს ავლენს: მისწრაფება მთელი ანსამბლისა, ცალკეული კომპოზიციების დინამიკურობისა და დეკორაციულობისაკენ.

განსხვავებულ მიდგომას ვხვდებით ამ ორ მოხატულობაში ცალკეულ სცენათა გადაწყვეტისას. ეს განსხვავება ნათლად ჩანს ეკლესიასა და ეკედერში გამოსახული ორი ანალოგიური სცენის — „სულიწმინდის მოფენის“ კომპოზიციების შედარებისას.

ეკედერში წარმოდგენილი კომპოზიცია შეკრული და დასრულებულია, რაც მიღწეულია ფიგურათა მოხაზულობის, მათი მოძრაობის, შესტების რიტმული განმეორებით. რბილად მიმდინარე ნახატის უწყვეტი დინებით. სცენას აერთიანებს ნახევარწრიულ მოხაზულობას დამორჩილებული მჭიდროდ განლაგებული შარავანდების ნახატი, სამოსის ნაოქების ტალღოვანი დინება, რომელიც ერთი ფიგურიდან მეორეზე გადადის. ცენტრისაკენ სამ მეოთხედში წარმოდგენილ ფიგურათა მოძრაობები, შესტები, სახეთა გამომეტყველება



მშვიდია, დინჯი და თავშეკავებული. ამ მხრივ ეს ძეგლი XII—XIII სს. მიჯნის ძეგლებს უკავშირდება.

თვით ეკლესიაში იგივე სცენა უფრო დანაწევრებულია. საერთო რიტმით არ არის გამსჭვალული, თითოეული ფიგურა დამოუკიდებლად აღიქმება იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, მათ შორის ინტერვალები საკმაოდ დიდია და მეორეც, ერთმანეთის გვერდით მჯდომი ფიგურები, ზოგ შემთხვევაში, სხვადასხვა მხარესაა მიმართული. ეკვდერის მხატვრობისაგან განსხვავებით ფიგურათა პოზები, პალეოლოგოსთა ხანისათვის დამახასიათებლად, უფრო რთულია, ზოგჯერ იმდენად უტრიბებული, რომ მანერულიც კი ხდება. მოციქულები მყარად არ სხედან და შთაბეჭდილებაც ისეთია, თითქმის ეს-ესაა უნდა წამოდგნენო.

მკვეთრად განსხვავებულია ამ ორ ძეგლში ფიგურათა პროპორციებიც. ტაძარში ისინი წაგრძელებულია, სუსტი, თხელი, პალეოლოგოსთა ხანისათვის დამახასიათებელი პატარა თავებით, თმების კეფასთან ამაღლებული მსით და ძალზე მცირე ზომის კიდურებით. ფიგურები ერთგვარად მანერულად მოხდენილია, ისინი შორს არიან —კლასიკური“ ხანის დახვეწილობისაგან. ეკვდერის მხატვრობაში კი პროპორციები არ არის ასე ნაზგასმულად წაგრძელებული. კიდურებისა და თავის შეფარდება ტანთან უფრო რეალურია. მოძრაობა ცოცხალია, მაგრამ ამავე დროს, თავშეკავებული, რაც აახლოებს გამოსახულებებს XII—XIII საუკუნეთა მიჯნის მოხატულობათა ფიგურებთან.

განსხვავებულია ამ ორ მოხატულობაში ტიპაიც. ეკლესიაში ძირითადად სამი შეოთხედით გამოსახული ფართო სახეებია, მომრგვალებული ოვალით, პატარა წითელი ტუჩებით. აქ ბევრია პალეოლოგოსთა ხანისათვის ესოდენ დამახასიათებელი გამოსახულებები პროფილით, მკვეთრად გამოხატული მსხვილი ცხვირითა და ნიკაბით. თვალის გამოსახვისას მუქი გუგის გვერდით თვალის კიდეში დადებული საკმაოდ სქელი, მკვეთრი თეთრი მონასმი მზერას უფრო კონკრეტულს ხდის, რის გამოც სახის გამომეტყველება, თუ შეიძლება ითქვას, მეტ „მიწიერებას“ იძენს და კონტრასტს ქმნის ეკვდერში წარმოდგენილი ფიგურების სახის მშვიდ, განყენებულ, გარინდულ გამომეტყველებასთან. ეკვდერში ტიპაიც უფრო დახვეწილია, სახის ნაკეთები თხელია, ოვალის მოგრძო, ნუშისებური ფორმის თვალებითა და თხელი ცხვირით.

ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ერთი შეხედვისთანავე ნათელს ხდის ამ მოხატულობათა ორი სხვადასხვა ეპოქისათვის მიკუთვნების საკითხს, ესაა კოლორიტი.

პირველ რიგში განსხვავებულია ფერთა შერჩევა და ინტენსივობა. ეკლესიის მხატვრობაში უფრო მეტი ფერია გამოყენებული — მუქი ლურჯი ფონისათვის, წითლის, ოქრის, ნაცრისფერის, მწვანის, ცისფრის, ყვითლის სხვადასხვა ტონალობა. ამასთან, ფერები მკვეთრი და მჭახეა. ეკვდერში კოლორიტი უფრო „მონოქრომულია“, თავშეკავებული. წამყვანია ფონის ცისფერი, რომელზეც რიტმულადაა გათამაშებული ოქრა, იასამნისფერი, მწვანე და წითელი. თვით ფერები უფრო რბილია, გამჭვირვალე.

განსხვავებულია აგრეთვე ფონისა და ფიგურათა სამოსის ფერების ურთიერთდამოკიდებულება, აქედან გამომდინარე კი საერთო შთაბეჭდილება. ეკლესიაში კაშკაშა ფერის სამოსში გამოწყობილი ფიგურები კონტრასტს ქმნიან მუქ ლურჯ ფონთან, უპირისპირდებათ მას და მკვეთრ ფერადოვან ლაქებად

ვარძიის ანანაურის ეკლესია
„იერუსალიმად შესვლა“.

Вардзиа. Церковь
Анаури. «Вход
в Иерусалим».



გამოიყოფიან; მაშინ როდესაც ეკვდერში, პირიქით, ფონი აერთიანებს ფერადოვან გამას. ფონის ღია ცისფერი, თავდაც მრავალგზის გამეორებული ფიგურების სამოსზე, ტონის ინტენსივობით არ გამოირჩევა დანარჩენი ფერებისაგან. ყველა ფერი თავისი ელერადობით თანაბარუფლებიანია და მხატვრული შთაბეჭდილებაც სწორედ თანაბარი ელერადობის ფერთა რიტმულ მონაცვლეობაზეა აგებული.

როგორც დაეინახეთ, ამ ორ მოხატულობაში სრულიად სხვადასხვაგვარი მიდგომა გვაქვს ფერადოვანი გადაწყვეტისადმი. კოლორიტის ასეთი პრინციპული სხვაობა პალეოლოგოსთა ხანამ მოიტანა. „რბილი კოლორიტი, აგებული მცირე რაოდენობის ტონთა შეხამებაზე, გაერთიანებული ღია ცისფერი ფონით, ადვილს უთმობს მრავალფეროვან გამას, სადაც ტონები კონტრასტულად გამოიყოფიან მუქ ლურჯ ფონზე“.7 ამრიგად, კოლორიტის მხრივ ეკვდერის მხატვრობა მეტ სიახლოვეს იჩენს XII—XIII სს. მიჯნის ძეგლებთან (ყინწყვისი, ბერთუბანი, ტიმოთესუბანი და სხვ...), ეკლესიისა კი — პალეოლოგოსთა ხანის მოხატულობებთან პოულობს პარალელს (წალენჯიხა, ნაბახტევი, ალავერდი).

ამ ორ მოხატულობაში განსხვავებულია შესრულების მანერაც. ეკლესიის მხატვრობაში ვხვდებით პალეოლოგოსთა ხანის ხელოვნებისათვის დამახასია-



თებელ სამოსის დამუშავების, მოდელირების ხერხების გამოყენებას (ხედილობა) ხშირი შინაგანი ნახატი დანაწევრებული ფერადოვანი ლაქის დამუშავების (ხედილობა) მოთვრებათა ლაქებით; აგრეთვე, ერთი ფერის მეორე, კონტრასტული ფერით დამუშავება), მაგრამ ამასთანავე აღინიშნება ამ ხერხების, მრავალშრიანი წერის მანერის ერთგვარად გამარტივება (აქ არ ვხვდებით XIV ს. ძეგლებისათვის დამახასიათებელ ძირითადი ფერიდან თეთრაზე გარდამავალ, თეთრანარვე ტონს. თეთრა პირდაპირ იღება ძირითადი ტონის ზემოთ, რაც სირბილესა და ფერწერულობას უკარგავს ამ მხატვრობას. ამასთან, ვალიადფერების ლაქები არ არის ისე ფართო, ისინი ვათხელდა და თითქმის ხაზებად იქცა). სამოსის დამუშავებაში წამყვან მნიშვნელობას იძენს ხაზი, საკმაოდ ხისტი, მოკლე, უხეში, ტუხილი, დამაბული. გრაფიკული საწყისის მოძალება გვაფიქრებინებს, რომ ეს ძეგლი პალეოლოგოსთა ხელოვნების ე. წ. „გრაფიკულ ფაზაში“ უნდა იყოს შესრულებული, ე. ი. XIV ს. შუა ხანების შემდგომ, უფრო კი XV ს.-ში.⁸

სამოსის დამუშავების გამარტივების საპირისპიროდ, სახეთა წერის მანერა ანაწურის ეკლესიაში მრავალშრიანია და ხატწერას მოგვეგონებს, რაც ესოდენ დამახასიათებელია გვიან პალეოლოგოსთა ხელოვნებისათვის. სარჩული სახისა მუქი ოქრისაა, ზემოდან დამუშავებულია ერთმანეთში შერეული მუქი მწვანითა და ყავისფრით, ლუყებზე მკვეთრად გამოიყოფა წითელი ლაქები, ამის ზემოდან კი, თმებზე, ლაწვებზე თავისუფლადაა დადებული პალეოლოგოსთა ხანისათვის დამახასიათებელი ძალზე ცოცხალი, მოძრავი თეთრი კალიგრაფიული მონასმები.

ეკედერის მოხატულობაში სამოსის დამუშავება სულ სხვაგვარად ხდება. აქ მხატვრული შთაბეჭდილების შექმნაში განმსაზღვრელია ნახტით ნაკლებ-დანაწევრებული ლოკალური ლაქების მონაცვლეობა. ფიგურა ფონისაგან მთლიანი, ჩაკეტილი კონტურის ხაზით გამოიყოფა. შედარებით ლაკონური შინაგანი ნახატი სრულდება არა შავით, როგორც ეს ტაძარში გვქონდა, არამედ ღია ყავისფრით. ამასთან, იგი არ არის ისეთი ხშირი და დანაწევრებული, როგორც პირველ შემთხვევაში. შინაგანი ნახატის დენადი ხაზი რბილად და მოქნილად შემოწერს სხეულის ფორმებსა და სამოსის მხოლოდ ძირითად ნაწილებს. გამჭვირვალედ და მსუბუქად დადებული გამოთვთვრებები ოდნავ თუ აღიავებს ძირითად ტონს, მაგრამ არ არღვევს ფერადოვანი ლაქის მთლიანობას, ხოლო წერილი, თეთრათი დეტანილი ხაზები მუქი ნახატის გასწვრივ, ხაზს უსვამს ნახატის სიმწყობრეს. მოდელირება აქ ტაძრის მოხატულობისაგან განსხვავებით, ძალზე ფაქიზი და რბილია, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ამ მხატვრობის ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ თარიღს XII—XIII სს. მიჯნა.

ეკედერის სახეთა წერის მანერაზე სხვადასხვა სახეზე შემორჩენილი ცალკეული დეტალის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. სარჩული აქ უფრო ღია ფერის ოქრისაა, ჩაჩრდილებები ოვალის გასწვრივ და ყელზე მომწვანო, ზეთისხილისფერია, იგი რბილად გადადის სახის ძირითად ტონში და საერთო ფერადონებიდან არ ვარდება.

როგორც დავინახეთ, ზემოთ განხილული მოხატულობანი სხვადასხვა სტილისტური ეტაპებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ამჟღავნებს. ერთი მათგანი — ტაძრისა, პალეოლოგოსთა ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს და შესაძლოა შესრულებულ იყოს XV ს. მეორე კი — ეკედერის მოხატულობა.

აშკარად XII—XIII სს. მიწის ძველთა რიგში დგება. გამოდის, რომ ეკლერში გვაქვს უფრო ადრეული ხანის მოხატულობა, ტაძარში კი გვიანდელი. შეუძლებელი იყო XIII ს. მოხატვით მხოლოდ ეკლერი, ხოლო თვით ეკლესია შეუმკობელი დაეტოვებინათ. მაგრამ 1984 წლის ზაფხულში კ. ბაყრაძის ხელმძღვანელობით, რესტავრატორთა ჯგუფის მიერ ძველის გაწმენდის შემდეგ, თვით ტაძარში აღმოჩნდა ქვედა ფენა, რომელიც, ალბათ, ეკლერის მოხატულობის თანადროული, ან უფრო ადრინდელი უნდა ყოფილიყო და შემდეგ, XV ს. გადახატეს, ეკლერის მოხატულობა კი, რაღაც მიზეზის გამო, ხელუხლებლად დატოვეს.

ვარძის ანანაურის ეკლესიისა და მისი მიმდებარე სათავისის მოხატულობათა შესწავლა საინტერესოა, ერთი მხრივ, თვით ვარძის გამოქვაბული კომპლექსის ისტორიის სრულად წარმოსადგენად, მეორე მხრივ კი — საინტერესო მასალას იძლევა ქართული კედლის მხატვრობის საერთო სურათის შესავსებად, მით უმეტეს, რომ XV ს. შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ისტორიაში, ძნელბედობის გამო საკმოდ შუიჩი ხანაა.

შემდგომი კვლევა, ფართო სტილისტური და იკონოგრაფიული პარალელების მოძიება, ისტორიული მასალების შესწავლა, საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო დახსტდეს ორივე მოხატულობის შესრულების დრო და ჩარჩოები.

1. გ. გაფრინდაშვილი, Пещерный ансамбль Вардзия, АН ГССР, Тб, 1960, გვ. 105; ვარძია, ადრორა. ლენინგრადი, 1975, გვ. 60, პ. ზაქარაია, (Памятники восточной Грузии, «Искусство», М, 1975, გვ. 60) ე. პრიალაგვა (ვარძია, თბილისი, 1982 წ. გვ. 10) ანანაურის ეკლესიისა და ეკლერის მხატვრობას XVI ს-ით ათარიღებენ.

2. ვაბაშვილი (ვარძია, «Сабчота Сакартвелოს», Тб, 1966 გვ. 12), ამ მოხატულობებს XV-XVI სს მიეწიოთ ათარიღებს.

3. მელითაური ვარძის სამშენებლო-ხელოვნობითი შესწავლის საკითხები, 1961 გვ. 72, «იკონის საფანე ანანაურის ეკლესიასთან». «მაცნე», 1977, № 1, გვ. 49-52 განასხვავებს ეკლესიისა და ეკლერის მოხატულობებს ერთმანეთისაგან, ეკლესიის მხატვრობას XV-XVI სს მიეწიოთ ათარიღებს, ეკლერისას კი XVI ს I ნახევრით (1515 წ.).

4. „ღვთისმშობელი პლატონია“ — წელამდე გამოსახული ღვთისმშობელი ორანტის პოზაში, მის მერდთან ურბა იესოთი.

5. ეს კომპოზიცია ძალზე დაზიანებულია. დეტალების (სარკოფაგისა და შარავანდის ნაწილები) და წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ აქ სწორედ „ხატი მიძინებისა“ უნდა ყოფილიყო გამოსახული.

6. აქ დამატებულია ნახევარეგისტრი წმინდანთა მედალიონებში ჩასმული გამოსახულებები.

7. ა. კლდიაშვილი. ვარძის ანანაურის ეკლესიის მოხატულობის სისტემისა და იკონოგრაფიული პროგრამის ზოგიერთი საკითხი. მოხსენება წაკითხული ს. ბარნაველის სხეულისადმი მიძღვნილ ქართული ზღვრების ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციაზე, 1985 წ. (ზედნაწერი).

8. Лазарев В. Н. История византийской живописи, т. I, «Искусство», М., 1947, стр. 210.

9. Вирсаладзе Т. История искусства народов СССР, т. 3, «Изобразительное искусство», М., 1947, стр. 270.

10. В. Н. Лазарев, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

11. ამგვარი შესრულების მანერას ეხედებით XII-XIII სს-ის მიწის ძველებში იხ. Г. Алибегашвили, Светский портрет в грузинской монументальной живописи, «Меншереба», Тб., 1979 г., გვ. 95.

შალვა, სამცხის სპასალარი და ათაბაგი
(1361—1374)

ადიგენის რაიონის ცენტრიდან 5 კმ-ის დაშორებით ლამაზ ხეობაში მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი — ჭულეს ტაძარი, რომელიც აკად. ვ. ბერიძის დასკვნით აშენებული და მოხატულია 1381 წელს.¹

ჭულეს ტაძრის ისტორიულ მნიშვნელობას განაპირობებს მასში მოთავსებული სამცხის მთავართა წარწერებიანი ფრესკები. სამხრეთის კედელზე, შესასვლელი კარების ზემოთ, გამოხატული არიან „პატრონი საბა“ (1266 წელს საქართველოსაგან გამოყოფილი სამცხის მთავარი სარგის I, მეჭურჭლეთუხუცესი და ათაბაგი), მისი შვილი „ბექაი მანდატურთ უხუცესი“, ბექას ვაჟები უფროსი „სარგის სამცხისა სპასალარი“, მომდევნო „ყუარყუარე“ და უმცროსი „შალვა“.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ბექა I-ის სიკვდილის შემდეგ სამცხის ათაბაგებად იყვნენ ბექას შვილი სარგისი, სარგისის შვილი ყვარყვარე (გარდ. 1361 წ.) და ყვარყვარეს შვილი ბექა², რაც სქემატურად ასე იქნება: სარგისი → ყვარყვარე → ბექა. ეამთაღმწერლის მიხედვით, ბექას სიკვდილის შემდეგ „დაიპყრეს სამცხე სამთავე ძეთა მისთა: უხუცესმან სარგის, და შედეგმან ყუარყუარე, და უმრწამსმან შალვა“.³

ეამთაღმწერლის ამ ცნობის მიხედვით ისე ჩანს, თითქოს მამამ შვილებს გაუყო სამთავრო, მაგრამ ეს არც წყაროებით და არც შემდგომი ამბებით არ დასტურდება. თუ ეს გაყოფა იყო მომხდარი გარეგანი მთლიანობის დაუღვეველად, მაშინ ძმების შთამომავლები აუცილებლად გააღრმავებდნენ და შეინარჩუნებდნენ ამ გაყოფას, რაც არ დასტურდება მომდევნო პერიოდით.

ამდენად, ჩვენი აზრით, ეამთაღმწერლის ეს ცნობა უნდა გულისხმობდეს არა სამცხის სამთავროს გაყოფას და ერთდროულად სამი მთავრის არსებობას, არამედ ბექას ვაჟების მთავრობას ერთი — ერთმანეთის შემდეგ.


თუ ჩვენი ეს აზრი სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ეამთაღმწერლის ეს ცნობა სქემატურად შეიძლება ასე ჩაწეროთ: სარგისი → ყვარყვარე → შალვა.

ამ ორი სქემის შედარებიდან ნათლად ჩანს განსხვავება მათ შორის: ვახუშტის შალვას მაგიერ ბექა ჩაუსვამს და სამივე პირს შორის ნათესაური დამოკიდებულებაც შეუცვლია. დღემდე ცნობილ არცერთ ისტორიულ წყაროში, ამ დროის ჭაყელ-ციხისჯვარელებში არსად არ არის მოხსენიებული სამცხის მთავარი ბექა ყვარყვარეს ძე. იგი იხსენიება მხოლოდ ვახუშტისთან.

სამაგიეროდ ეამთაღმწერლის გარდა, შალვა მოიხსენიება ლიხაურის მაცხოვრის ხატის წარწერაში: „...ძე დიდისა (მანდატურ) თუხუცესისა ბექისა ათაბაგი და სამცხისა ს(პა)სალარი შალვა“.⁴

შალვა, როგორც ბექას შვილი, მაგრამ ტიტულის გარეშე, მოიხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში⁵ და ანჩის ხატის წარწერაში⁶.

დღეისათვის ცნობილია სამცხის მთავრის ყვარყვარე I-ის ერთი შვილი — ციხის ომფორის წარწერაში მოხსენიებული ასული ნათელი,⁷ რომელიც 1357



შალვას ფრესკის ფრაგმენტი
ტი ჰულეს ტაძრიდან.

Фрагмент фрески
Шалвы из монастыря
Чуле.

წელს იმერეთის ერისთავ ბაგრატზე გათხოვდა*. და არ ყავდა¹რა მე, ყვარყვარე ღმერთს შესთხოვს შვილის, მემკვიდრე — ვაჟის მიცემას“.⁹

1361 წელს გარდაიცვალა სამცხის მთავარი ყვარყვარე 1. სამცხის შემომტკიცები საჭიროება მოითხოვდა მთავრის პოსტზე დაესვათ მეფის დამსახურებული მოხელე და არა გარდაცვლილი მთავრის შვილი (მით უმეტეს რომ ყვარყვარეს არ დარჩენია მემკვიდრე — ვაჟი). ასეთი კი ჭაყელებში იყო ყვარყვარეს მომდევნო ძმა, ბექა I-ის უმცროსი ვაჟი შალვა და სწორედ ის გახდა სამცხის სამთავროს გამგებელი.

სოფ ხოელეს წმ. თევდორეს ეკლესიის ქვაზე მოთავსებულია წარწერა:

„1.(3) ტრონსა ამრსპსრლს აღ(ბლს)


2. ...გ... მარჯოს ნ(?)ამარულ მი

3. ...ლნ ჩემნ ცდენი მუ(?) ნყრნი(?) ყმ“. აქ თითქოს მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ იხსენიება პატრონი ამირ-სპასალარი აღბულა.

4. „...შნ ღნ სარგის შნ ღნ ბექას შნ ღნ
5. შლეს შნ ღნ შვლნ ყოვლ ჩა
6. ძოლთ აბლთ შნ ღნ“

ე. ი.: „...შეუნდვენ ღმერთმან, სარგის(ს) შეუნდვენ ღმერთმან, ბექას შეუნდვენ ღმერთმან, შალვას შეუნდვენ ღმერთმან, შვილთა ყოველ(თა) ჩემ-თა ძუელთ(ა) (და) ახალთ(ა) შეუნდვენ ღმერთმან“.¹⁰

ჩვენი აზრით წარწერა შესრულებულა სამცხის მთავრის, ათაბაგ-ამირსპასალარისა და სჯულმდებლის, აღბულა I-ის სიცოცხლეში და მისი მითითებით. ამ წარწერაში აღბულა მოიხსენიებს თავის თავს და შენდობას უთვლის სარგისს, ბექას, შალვას და თავის შვილებს. აქ დასახელებული პირებიდან ბექა და შალვა არიან ბექა მანდატურთუხუცესი და მისი უმცროსი ძე შალვა, ხოლო სარგისი ან ბექას მამა სარგის I-ია, ან მისი შვილი სარგის II. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ რიგში სახელები აღნიშნულია მკაცრად უფროს-უმცროსობის რიგის დაცვით: აღბულას შვილების წინ დგას შალვა, ხოლო შალვას წინ კი დგას ბექა. ამიტომ სრულიად უეჭველია, რომ ბექას წინ მოხსენიებული სარგისი არის მისი მამა სარგის I, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნებოდა მოხსენიებული მის შემდეგ (როგორც შვილი). აქ არ მოიხსენიებიან არც ყვარყვარე I და არც მისი უფროსი ძმა სარგის II. ამით აღბულას იმის თქმა უნდა, რომ იგი შენდობას უთვლის მხოლოდ თავის უშუალო წინაპრებს: მამას შალვას, შალვას მამას ბექა მანდატურთუხუცესს და ბექას მამას სარგის I-ს, ე. ი. აღბულა I იძლევა თავისი წარმოშობის გენეალოგიურ სქემას: სარგის I → ბექა მანდატურთუხუცესი → შალვა → აღბულა I.



აღბულა I, ათაბაგამირსპასალარი და სჯულმდებელი (1374—1391)

სოფელ ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესიის ამ წარწერით დასტურდება ს. კაკაბაძის ვარაუდი, ვამოთქმული ნაშრომში „სჯულმდებელთა ბექას და აღბულას ვინაობა“, რომ აღბულა სჯულმდებელი არის შვილიშვილი ბექა მანდატურთუხუცესისა და შვილი მისი უმცროსი ძის შალვასი.¹¹

მიქელ პანარეტოსის ცნობით, იბერიასთან თბილისის მეფე დავითის ასულისათვის, აღბულას დისწულისათვის, დადებული ყოფილა საქორწინო პირობა ტრაპიზონის მეფე ალექსი III-ის ვაჟ ანდრონიკეზე დაქორწინების შესახებ. მაგრამ 1374 წლის 14 მარტს ანდრონიკე სასახლიდან გადმოვიარდა და გარდაიცვალა. ამიტომ საქორწინო პირობა გადატანილ იქნა ალექსი III-ის უმცროს შვილ მანუილზე.¹²

მ. პანარეტოსის ამ ცნობაში მოხსენიებული თბილისის მეფე დავითი უნ-



და იყოს საქართველოს მეფე დავით IX (1346—1360)¹², ხოლო აღბუღა კი უნდა იყოს ბექა მანდატურთუხუცესის შვილიშვილი აღბუღა I, ათაბაგ-გენერალ-სპასალარი და სჯულმდებელი.¹³ ამ ცნობიდან ჩანს აგრეთვე, რომ აღბუღა სჯულმდებელის და, ე. ი. შალვას ქალიშვილი, გათხოვილი ყოფილა, საქართველოს მეფე დავით IX-ზე. მისი სახელი ისტორიამ არ შემოგვინახა.

მ. პანარეტოსის 1374 წლის 14 მარტით დათარიღებულ ამ ცნობაში საქართველოს მეფის დავით IX-ის ასული ნახსენებია აგრეთვე, როგორც აღბუღას დისშვილი. როგორც ჩანს, ამ დროისათვის შალვა სამცხის სპასალარი და ათაბაგი ვარდაცეცელია, თორემ მ. პანარეტოსი დავით IX-ის ასულს მოიხსენიებდა, არა როგორც აღბუღას დისშვილს, არამედ როგორც შალვას შვილიშვილს. ამდენად ეს თარიღი ჭრჭერობით შეგვიძლია მივიღოთ, როგორც შალვას ზეობის ბოლო წელი.

ამრიგად, შალვას ოჯახობიდან ჩვენთვის ცნობილი არიან შვილები: ვაეი — აღბუღა სჯულმდებელი და ასული — საქართველოს მეფე დავით IX-ის მეუღლე. ოჯახის დანარჩენ წევრთა სახელები უცნობია. შალვა ყოფილა სამცხის სპასალარი და ათაბაგი. სხვა რამ ცნობები მის შესახებ არ შემონახულა.

სარგის II-ის, ყვარყვარე I-ის და შალვას ფრესკები ე. თაყაიშვილის მოწმობით ყოფილა საფარის მიძინებურს ეკლესიაში,¹⁴ მაგრამ XIX საუკუნის დასასრულს საფარაში ჩასულმა არუსმა ბერებმა მიძინების ეკლესია შელეს-შელეზგეს და ჯაყელთა ფრესკებზე სამუდამოდ დაიკარგა.¹⁵

შალვა ქუდის ტაძარში გამოსახული იყო მთელი სიმაღლით. დღეისათვის გადარჩენილია მხოლოდ დაზიანებული სახე და ქუდი, ხოლო ფრესკის დანარჩენი უდიდესი ნაწილი, (ე. თაყაიშვილის მოწმობით, 1905 წელს, შალვას ფრესკა დაზიანებული არ ყოფილა)¹⁶, სამუდამოდ დაკარგულად უნდა ჩათვალოს. შალვას ფრესკაზე ქუდის ზემოთ, მარცხენა (მაყურებლისაგან) მხარეს კარგად იკითხება წარწერა „შალვა“.

1. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII-XVI საუკუნეები, 1955, გვ. 151.
2. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ს. ყუბჩიშვილის მიერ, თბ. 1973, გვ. 253-258, 701-702.
3. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუბჩიშვილის მიერ, თბ. 1959, გვ. 323.
4. ქრონიკები და მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. გორდანიას მიერ, წ. II, ტფილისი, 1897, გვ. 183. სიტყვა „თუხუცესისა“ მანდატურთუხუცესად წაითხული აქვს ი. სიხარულიძეს (ი. სიხარულიძე, სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან XIII-XV სს, საზრტო საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საკითხები, VIII, ბათუმი, 1975, გვ. 43-44).
- 5-6. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.) თბ. 1962, გვ. 81. შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, ტფილისი, 1937, გვ. 9.
7. თ. უორდანი ქრონიკები II გვ. 186.
8. ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 260; ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117-118.
- 9-10. ლ. მუსხელიშვილი, არქ. ტექსტურსიები მაშარის ხეობაში, თბ. 1941, გვ. 73-74.
11. ს. კაკაბაძე, სჯულმდებელთა ბექასა და აღბუღას ვინაობა, ტფილისი, 1912, გვ. 6.
12. მ. პანარეტოსი, ამბავი ტრაპიზონის მეფეების დიდი კომნენოსებისა თითოეულმა როგორ, როდის და რამდენ ხანს იმეფა. „გეორგიკა“, ტ. VII, ზიანტელე მწერლების ცნობებში საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყუბჩიშვილმა, თბილისი, 1967, გვ. 206-208 და 206-ე გვერდის შენიშვნა 2.
13. მ. პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებით და საძიებლებით გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბ., 1960, გვ. 83-84.
14. E. Такашвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, I, Тифлис, 1905, стр. 99—100, 108.
15. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42, 57, 62.

ახთანდელ წმცუბიძე

ეროვნული თვითშეგნების ნათელი ფურცელი

კასპის რაიონში, მდ. თემის შუა წელზე, შეფენილია სოფელი ერთაწმინდა. სოფლის ცენტრში დგას XIII საუკუნის შუახანების წმინდა ესტატეს ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესია. ძველი ნაგებია თლილი ქვის კვადრებით-კარი და სარკმლები იმდროინდელი ტრადიციისამებრ მდიდრულადაა მორთული. 1588 წელს სიმონ მეფეს სოფ. ერთაწმინდა, იგივე ესტატწმინდა სიაუშ საცაქაძისათვის მიუცია.

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან როსტომ მეფემ, გიორგი საცაქაძის შვილს, იორამს, მამის სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის მამულები (მათ შორის სოფ. ერთაწმინდა) და თარხნობა უბოძა. თარხანი პრივილიგირებული, შეუვალობის სიგელით აღჭურვილი პირი იყო, რომელიც ყოველგვარი ვადასახადებისაგან თავისუფლებოდა. აქედან წარმოდგა თარხნი-შვილების (იგივე თარხანმოურავების ან მოურავისშვილების) გვარი.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე თარხნის ტიტულს ატარებდა სახლის თავკაცი. თარხნიშვილების გვარმა არაერთი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდა სამშობლოს; მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, მსახიობები, სამხედრო თუ საზოგადო მოღვაწეები.

სოფ. ერთაწმინდის წმინდა ესტატეს ეკლესია გიორგი საცაქაძის შთამომავალთა საძეუ გამზდარა. აქვე, ინტერიერში, ჩრდილოეთის კედელთან ასვენია საქართველოს ეროვნული თავისუფლების სიმბოლო — დიდი მოურავის უმცროსი ვაჟის პატარა მოკვეთილი თავი.

ყურადღების შევაჩერებთ ერთ დეტალზე: ტაძრის ჩრდილოეთის კედლის ფასადზე, პორტალთან, საძირკელიდან ორი მეტრის სიმაღლეზე, საგანგებოდ შერჩეულ კარგად გათლილ ღია ფერის ქვაზე, ასიმეტრიული მხედრული ასოებით შესრულებულია ოთხსტრიქონიანი წარწერა:

ქ ამ ქცნ უნც მეფე ირაკლი და რუს
ის ჯარი აწერ

ოსმალთა გაუქცევა სამი ათასი

თავი მოსჭრეს ლეკსა და ოსმალისი

ასოები დაბალი ჩაპრითაა გამოყვანილი და ცუდად იკითხება.

წარწერა პირველად გარკვეული ცვლილებებით 1848 წელს გამოაქვეყნა პ. იოსელიანმა, იგივე წარწერა, რამდენადაც განსხვავებული და სწორი სახით 1907 წელს გამოსცა ე. თაყაიშვილმა. მცირედი ცვლილებებით ე. თაყაიშვილის გამოცემა გადმოიღო ი. გომელაურმა.

აღნიშნული მკვლევარები მიზნად ისახავდნენ ერთაწმინდის ტაძრის სიძველეების, ისტორიის თუ არქიტექტურის მონოგრაფიულ შესწავლას და წარწერას გაკვრით იხსენიებენ.



ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ტექსტის განხილვა. ტექსტის შინაარსში არსი გასაგებია, „+“, ამ ქორონიკონს 1770, მეფე ირაკლი და რუსის ემპერატორს არსი აწყვერს ოსმალთა გაუქცივა, სამი ათასი თავი მოსკრეს ლეკსა და ოსმალსი“.

პირველი და მეორე ხაზი ერთ დაუსრულებელ წინადადებას წარმოადგენს: „+ ამ ქორონიკონს 1770, მეფე ირაკლი და რუსის ჯარი აწყვერს...“ აქ აზრობრივად რამდენადმე გათიშულია მეორე წინადადება, რომელიც მოიცავს მესამე და მეოთხე ხაზს „...ოსმალთა გაუქცივა, სამი ათასი თავი მოსკრეს ლეკსა და ოსმალსი“.

ავტორს მეორე ხაზი ბოლომდე არ შეუვსია და მესამე ხაზზე თავში, ორიოდ სიტყვისათვის ადგილი დაუტოვებია. მას აქ რალაცის ჩაწერა სდომია, მაგრამ პირველი წინადადება არ დაუმთავრებია — თავი შეუკავებია. კიდევ ერთი; ტექსტი მესამე პირობა დაწერილი (გაუქცივა, მოსკრა). ცხადია ავტორი ამ ამბის გამგონეა და არა უშუალო მონაწილე. მიუხედავად ამისა, სიხარულით აღფრთოვანებულს არ დაუხანებია და გასახარებელი ამბავი სახელდახელოდ კედელზე ამოუკაწრავს ისე, რომ თავის ვინაობა არად ჩაუგდია.

ცნობილია, რომ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო. ცენტრალური ხელისუფლების თავდაპირველი სისუსტიდან გამომდინარე და მეზობელი მამპდიანური ქვეყნების აგრესიული პოლიტიკის შედეგად ქვეყანა იმდენად დაუძღვრდა, რომ ნებისმიერი ქურდბაცაცა მარბიელი რაზმი განუკითხავად დათარეშობდა.

ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, საქართველოს მოსახლეობა ერთსულოვნად დარაზმულა მტრის წინააღმდეგ. ამ დროიდან მოყოლებული სოფლებსა თუ უბნებში, ველ-მინდორებსა და ბალ-ვენახებში სოკოებივით მრავლდებოდნენ თავდასაცავი, მრგვალი თუ ოთხკუთხა მოხაზულობის ციხე-კოშკები. რჩეულთაგან დგებოდა საგუშაგო რაზმები და ა. შ.

მეფე ერეკლემ გამეფებისთანავე არაერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ღონისძიება გაატარა, მათ შორის შექმნა მორიგი ჯარი და აქტიურად შეუტია მოთარეშებებს. ამასთანავე დახმარებისათვის რუსეთს მიმართა.

1769 წლის შემოდგომაზე რუსის ჯარისკაცმა პირველად შემოაბიჯა საქართველოს მიწაზე. ნატერა ასრულებული ერეკლე სოფელ კობში მიეგება ათასამდე ცხენოსანი, ერთი ქვეითი პოლკისა და თორმეტი ზარბაზნისაგან შემდგარ რუსთა ჯარს. კორპუსს გენერალი ტოტლებენი მოუძღვოდა, რომელიც საქართველოში, ცხადია საიმპერატორო კარის ზედა ფენების გარკვეული ნაწილის დაკვეთით მოქმედებდა.

ამ დროისათვის მიმდინარეობდა 1768—1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი. საქართველოში შემოსულ რუსთა ჯარს ევალებოდა ამიერკავკასიაში მიეზიდა ოსმალთა ძალების ნაწილი. მეფე ერეკლე შეეცადა შექმნილი სიტუაციის გამოყენებას. ერეკლე და ტოტლებენი ოპტიმალურ ვეგმაზე შეთანხმდნენ. გადაწყვეტილი ოსმალთა მიერ მიტაცებული ახალციხის აღება და მესხეთის განთავისუფლება.

1770 წლის მარტში ქართველთა და რუსთა ჯარი სურამში შეერთდა. ქართველთა ლაშქარი 7 ათასამდე მებრძოლს ითვლიდა. 24 მარტს ისინი თურქთა მიერ მიტაცებული ბორჯომის ხეობაში შევიდნენ. 14 აპრილს განათავისუფლეს სადგერის ციხე. 17 აპრილს ალყა შემოარტყეს აწყურის ციხეს. კრიტიკულ



მომენტში მეფე ერეკლესა და გენერალ ტოტლებენს შორის მოხდა განხეთქილება. ერეკლე სამართლიანად ითხოვდა პირდაპირ ახალციხეზე გალაშქრებას, რათა მტერს არ მოესწრო ძალების მობილიზება. ტოტლებენი ამის წინააღმდეგი იყო და აწყურთან ალყის გაკვიანურება სურდა. ავანტურისტმა გენერალმა ერეკლეს ღრმად შეატოპინა და გაქცევის მიზეზს ეძებდა. ყოველივე ეს იმით დამთავრდა, რომ 19 აპრილს რუსის ჯარმა პირი უკან იბრუნა. მცირერიცხოვანი ქართველები ასპინძისაკენ გაემართნენ. ისინი თურქებისა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქრის პირისპირ აღმოჩნდნენ.

გამხნეებული მტერი შეეცადა ქართველებისათვის გზა გადაეჭრა. 19 აპრილს, დღის მეორე ნახევარში, აღიდებულ მტკვარზე გადებული საცალფეხო ხის ხილით იწყო გადმოსვლა. ქართველებმა ისარგებლეს გამარჯვებაში დარწმუნებულთა შეცდომით, უკან დაიხიეს და ჯარის შუაზე გაყოფას დაელოდნენ. შებინდებისას მტრის ნახევარი მტკვრის გაღმა, ხოლო მეორე ნახევარი გამოღმა აღმოჩნდა, ერეკლემ ღამის სიბნელეში რჩეულებს ხიდის თავზეები ჩაახერხინა.

20 აპრილს, გათენებისას ქართველები იერიშზე გადავიდნენ, გაღმა დარჩენილი მტრის ნაწილები მაყურებლის რაოდენობაში აღმოჩნდნენ. ერეკლემ პირადი გამირობის მაგალითით მოჰკლა მალაჩილა „დაღესტნის პირველი და ჩინებული ბელადი“. დახოცილთა შორის იყვნენ გოლა ფაშა, არტაანისა და შავშეთის ბეგები, ყუმუზის ხანის შვილი და სხვ. ლტოლვილმა მტერმა ბრძოლის ველზე ოთხი ათასი კაცი დასტოვა და ხიდს მიაშურა...

ადვილი წარმოსადგენია თუ რა სიხარულით შეხვდებოდა ქართველი მოსახლეობა მომხდარ ფაქტს. სწორედ ამას განასახიერებს ერთაწმინდის წმინდა ესტატეს ტაძრის წარწერა.

ამოსაყნობია თუ რატომ არ დაამთავრა ავტორმა პირველი წინადადება და რისი ჩაწერისაგან შეიკავა თავი მეორე და მესამე ხაზებს შორის დატოვებულ ადგილას. შესაძლოა ბოლომდე ვერ გაერკვა ტოტლებენის ღალატის არსში.

დასასრულ, ტექსტში იხსენიება აწყვერი (აწყური) და არა ასპინძა. ცნობილია, რომ აწყურთან ბრძოლა არ მომხდარა, ბრძოლა მოხდა ასპინძასთან. აწყური ისტორიულ საბუთებში აწყვერის სახელითაც იხსენიება. აწყვერი აღრინდელ შუა საუკუნეებში სამცხის პოლიტიკური ცენტრი იყო. აქვე იდგა სამცივართა ფეოდალური სახლობა. გრიგოლ ხანძთელის მიხედვით VIII-IX საუკუნეებით არსებობდა აწყურის საეპისკოპოსო, XII—XVI საუკუნეებში აწყური სამცხის რელიგიური ცენტრია. დღემდეა შემორჩენილი ცენტრალურ გუმბათოვანი ტაძრის ნანგრევები და აწყურის ციხე. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მწიგნობრები, გიორგი მაწყვერელი (IX-X სს), იერემია მაწყვერელი (XVI ს. I ნახ.) და სხვ.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აწყური ოსმალებმა მიიტაცეს. ამრიგად, იმ დროისათვის სრულიად ბუნებრივი ჩანს ერთაწმინდის ტაძრის ხსენებულ ტექსტში ასპინძის ნაცვლად აწყვერის მოხსენიება.

ახამჯე უცნობი XIV საუკუნის თბილისური სპილენძის მონეტის მონეტის შესახებ

XIV ს. ილხანთა ირანში შემავალ სახელმწიფოებსა და მათ შორის საქართველოს ფულის მიმოქცევაში (საქართველოს სამეფო ილხანთა ვასალად ითვლებოდა), ვერცხლის მონეტას ეჭირა მყარი ადგილი, მაგრამ ფაქტობრივი მასალიდან ჩანს, რომ ანგარიშსწორება სპილენძის ფულითაც ხდებოდა. ყაზან ყაენის (1295—1304 წწ.) ფულადი რეფორმა (1296 წ.), ვერცხლის მონეტაციის მკაცრად აკანონებს ერთ საერთო ტიპს, სპილენძის ფულზე კი კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი. სპილენძის მონეტების ემისია ილხანთა ირანში ხდებოდა არაერთი დაკანონებული, არამედ სხვადასხვა ტიპის მიხედვით. სპილენძის ფულს დიდი სარბიელი არ ჰქონდა და ძირითადად ემსახურებოდა შინა ბაზრის მოთხოვნილებებს.

XIV ს. საქართველოში ვერცხლის ფულის გამოშვება ხორციელდებოდა სხვადასხვა ზარაფხანაში (თბილისი, ახალციხე, ყარაღაჯი, ანისი) სპილენძის ფული კი, დღესდღეობით მხოლოდ თბილისის ზარაფხანიდანაა ცნობილი.

ყაზან ყაენის დროს და ოლჯაითუ სულთნის (1304-1316 წწ.) მმართველობის პირველ წლებში საქართველოში გამოშვებულ სპილენძის მონეტების ზედწერილებში ილხანის სახელს გვერდით ქართველ მეფეთა სახელიც არის აღნიშნული. XIV ს. ათიანი წლების შემდეგ მდგომარეობა იცვლება, იწყება ცვლილებები ზედწერილებში. თბილისურ სპილენძზე ქართველ მეფეთა სახელება ქრება და ამიერიდან იგი იჭრება მხოლოდ ილხანების სახელით.

საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების ფონდში მუშაობისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია ილხან აბუ-საიდის (1316—1336 წწ.) სახელით მოჭრილ სპილენძის მონეტის ძალზე ორიგინალურმა ცალმა. ეს მონეტა აღმოჩენილია დმანისში. ვიძლევიტ აღწერილობას!

წონა — 1,7 გ. დიამეტრი — 16/17 მმ.

შუბლი: წერტილოვან რკალში მოთავსებულია წრე, რომლის არე ვერ-

XIV ს. თბილისური სპილენძის მონეტა.

Медная Тбилисская монета XIV в.





ტიკალური რელიეფური ხაზით გაყოფილია ოთხ არათანატოლ ნაწილად. ზემოთ წერია: იქედა (არაბულად) ხაზის ქვემოთ ზარაფხანის სახელი: თბილისი (არაბულად) ვერტიკალური ხაზის მარჯვნივ სამ სტრიქონზე: აბუ-საიდი, ვანი-გრპოს მეფობა მისი (არაბულად); მარცხნივ დარჩენილ არეში, ქართული მხედ-რული ასო „გ“-ს მსგავსი ორნამენტი, ორ-ორი წერტილით.

ზურგი: რვაკუთხედს, რომელსაც გარს უკლის წერტილოვანი რკალი, სამ ხაზზე მოთავსებულია რწმენის სუნიტური ფორმულა არაბულად: არ არის ღმე-რთი ვარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია ალაჰის.

თბილისური სპილენძის ამ მონეტის შუბლი მკვეთრად განსხვავებული ტიპია. ილხან აბუ-საიდის თანამედროვე ქართველი მეფე, გიორგი V ბრწყინ-კალედ წოდებული (1314—1346 წწ.) იყო და საესებით დასაშვებია, რომ მხედრული „გ“-ს მსგავსი ორნამენტი გიორგის სახელის ინიციალს წარმოად-გენდეს.

როგორც ცნობილია, გიორგი ბრწყინვალის მეფობა საქართველოში აღი-ნიშნა მთელი რიგი ღონისძიებებით. ხელსაყრელმა საშინაო და საგარეო პი-რობებმა ხელი შეუწყვეს დიდი სახელმწიფო მიზნის — ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენას. უცხოელთა დიპლომატი-ურ მიმოწერაში გიორგი V მოხსენიებულია ღრმა პატივისცემითა და მაღალი ეპითეტებით. ასეთ ვითარებაში მონეტის ზედწერილი განსაკუთრებით საინ-ტერესოა. იგი გამოდგება ახალ ცნობად საქართველოსა და ილხანთა ირანს შორის პოლიტიკურ ურთიერთობათა თვალსაჩინოებისათვის.

1. საქართველოს საბ. მუზეუმის განიხების ფონდი № 7067, ზემოაღწერილი სამონეტო ტიპი არცერთ ნუმიზმატიკურ კატალოგში არა ჩანს და დღესდღეობით მხოლოდ თბილისის ზარაფ-ხანიდანაა ცნობილი.



ქრისტიანულ-ქართული სამარხების სა-
 ერთო ხედი დმანისის გარეუბნის სამა-
 როვნის სამხრეთ ნაწილში.

Грузинско-христианские погребения
 из Дманисского городища.
 Общий вид.

მერი გოჩიაშვილი

შუასაუკუნეების დმანისის ნაქალაქარის გარეუბნის სამაროვანი

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუასაუკუნეების განყოფილების დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი ვ. ჭავჭავაძე) ერთი რაზმი (რაზმის უფროსი მ. გოჩიაშვილი) 1975 წლიდან დღემდე მცირე მასშტაბიან, მაგრამ ნაყოფიერ სისტემატურ გათხრას აწარმოებს ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე.

როგორც ცნობილია, დმანისის გარეუბნის ვრცელი სამაროვანი მეტად მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს თავისი სტრატეგრაფიით, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების (ქართველები, მაკედიანები, სომხები და სხვა) სამარხებით, მემორიალური და საეკლესიო ნაგებობებით (ქართული ეკლესიები, მუსლიმანური მავზოლეუმები, სომხური ხაჩკარების ნიმუშები), მრავალფეროვანი საფლავის ქვებით, სხვადასხვაენოვანი წარწერებით (ქართული, არაბული, სომხური), სამარხების ინვენტარით, მათ შორის სამარხებში აღმოჩენილი მონეტებით და სხვა. ყოველივე ამის გამო მისი სისტემატიური გათხრა იძლევა მრავალმხრივ და მნიშვნელოვან ინფორმაციას საქალაქო ცხოვრების, მისი ეთნიკური შემადგენლობის, ხელოსნობის, ხელოსნური წარმოებისა და სხვათა შესახებ.

სამაროვანი მდებარეობს ნაქალაქარის სამხრეთით. საქართველოდან სომხეთში მიმავალი გზატკეცილი სასაფლაოს ორად ჰყოფს: გზის ქვემოთ, სოფ-




საულავის ქვები დმანისის გარეუბნის
სამაროვნიდან.

Надгробные плиты из погребения
Дманисского городища.



ლის განაპირას ქრისტიანული სამარხების ერთი ნაწილია, წმინდა თევდორეს
 სახელწოდების პატარა, ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევებითურთ, ხოლო გზის
 მარჯვნივ ფერდობზე შეფენილ სამაროვანს საკმოდ დიდი ფართობი უკავია.
 სამაროვანზე გვხვდება ქართულ-ქრისტიანული და მაკმადიანური სამარხე-
 ბი, რომელიც თავის მხრივ ორ — სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილად იყოფა.
 სამხრეთი ნაწილი მოიცავს ქრისტიანულ სამარხებს, ჩრდილოეთი კი — მაკ-
 მადიანურს, სადაც საკმაო რაოდენობითაა შემორჩენილი მუსლიმანური სასა-
 ფლაოებისათვის დამახასიათებელი მავზოლეუმები, რომლებსაც ადგილობრივ




საფლავის ქვა დმანისის გარეუბნის
სამაროენიდან.

Надгробная плита из погребения
Дманисского городища.

„მეჩითებს“ უწოდებენ. მავზოლეუმები ორნაირი გეგმისა გვხვდება: მრგვალი (წრიული), რომელიც აგურით ყოფილა ნაგები და კვადრატული. მავზოლეუმები, რა თქმა უნდა, წარჩინებულ პირების სამარხებს წარმოადგენდნენ. ეს რომ ასეა იქიდანაც ჩანს, რომ მუსლიმანური სამარხების უდიდესი ნაწილი მიწაში ჩაქრილი ჩვეულებრივი სამარხებია. მათ ნაწილს გააჩნია კარგად გათლილი საფლავის დიდი ქვები არაბული წარწერებით. სამარხების მეორე ნაწილს გააჩნია ვერტიკალურად ჩადგმული ბრტყელი სტელები არაბული წარწერებით, ხოლო უმრავლეს ნაწილს სამარხებისას, უბრალოდ გამოკოპიტებული ქვები ადევს ყოველგვარი წარწერების გარეშე. (მუსლიმანური საფლავის ქვების წარწერების უმთავრესი ნაწილი შესწავლილი და გამოქვეყნებულია ვ. კრაჩკოვსკაიასა² და არაბისტი ე. კახიანის³ მიერ).

ქრისტიანულ სამარხებს შორის ყურადღებას იქცევს სომხურ წარწერაინა „ჯერიანი“ მოჩუქურთმებული ქვები, ე. წ. „ხაჩკარები“, რომლებიც წარწერების მიხედვით XIII ს. მიეკუთვნება. წარწერები შესწავლილი და ერთ-ერთი მათგანი დათარიღებულია 1228 წლით პროფ. ლ. მელიქსედეგის მიერ.⁴

სამაროენის დიდი ნაწილი უჭირავს ქრისტიანულ-ქართულ სამარხებს. სამაროენის ტერიტორიაზე, სამარხებში თუ სამარხებს გარეთ აღმოჩენილია ქართული ჩუქურთმებით შემკული ქვის სტელების ფრაგმენტები. სტელები შემკულია სხვადასხვა ჩუქურთმებით: (გეომეტრიული, წნული, მცენარეული, ქრისტიანობის სიმბოლოა ჯვარი და სხვა) ანალოგიური მოტივები გვხვდება განვითარებული შუასაუკუნეების მრავალი ცნობილი ძეგლის ჩუქურთმებში: დმანისის დასავლეთ კარიბჭეში, ბოსლემის სამებაში, ნიკორწმინდაში და სხვა გარეუბნის სამაროენაზე განსაკუთრებით საყურადღებოა საფლავის ქვები, რომლებიც გამოირჩევიან ფორმათა მრავალფეროვნებითა და შემკულობის მდიდრულ-ბატონული დონით. გვხვდება კარგად გათლილი, ორფერდა, კამარებამს რიგით შემკული, სამკუთხა წახნაგოვანი, ზოგიც კიდემოლარული, გრებილი ორნამენტით შემკული საფლავის ქვები, რომლებზედაც ჯვარია გა-



სამკაულები დმანისის გარეუბნის
სამაროვნის სამარხებიდან.

Украшение из погребения
Дманинского городища.



მოსახელი და სხვა. ქვების უმრავლესობას შემორჩენილი აქვს დიდრონი ნაბერეტები ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანის გასაადვილებლად გაკეთებული. სამარხების მნიშვნელოვან ნაწილს უბრალო, ბრტყელი გამოკოპიტებული ქვები ადევს. ეს მაჩვენებელია იმდროინდელი მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციისა.

დმანისის გარეუბნის სამაროვნის სამხრეთ უბანზე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების შედეგად გამოვლინდა სამარხთა ორი ტიპი: ორმოსამარხები და ქვისსამარხები. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია, სამარხები დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. უმრავლესობა ორმოსამარხებისა ინდივიდუალურია, გვხვდება აღრეშუასაუკუნეების ქვის სამარხები, რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალულნი არიან კიდურებმოზრილ, ან გამოტილი პოზაში.

სამარხები განლაგებულია მკიდროდ, ხშირ შემთხვევაში ორ-სამ სართულად. სამარხეული ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია სამკაულების სახით: სამაჯურები (მინის, ლითონის), მძივები სხვადასხვა ფორმის და ფერის (ვიშრის, ქარვის, სარდიონის, მინის, ფიანსის და სხვა), საყურეები (სხვადასხვა მოყვანილობისა), ბეჭდები (რკინის, მინის, ვერცხლის და სხვა). მასალაში თითქმის არ გვხვდება ჭურჭელი და სხვა ყოფითი საგნები.

დმანისის გარეუბნის სამაროვანზე მიკვლეული სამარხეული ინვენტარის ანალოგიები ცნობილია თბილისში, რუსთავში, ყინვალში, გავაზში და სხვა გა-



შუა საუკუნეების არაბული და ქართული
ქვის სტელეები დმანისის გარეუბნის სა-
მაროვნიდან.



Каменные стелы из погребения
Дманинского городища.

ნათხარ მასალაში, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდ. კავკასიაში და სხვ.

მიცვალბულთა სარიტუალო წეს-ჩვეულებებს უკავშირდება სამაროვანზე გათხრილი ორი დარბაზული ტიპის მცირე ეკლესია, შიგ ალმოჩენილი სამარხების მიხედვით ეკლდერის დანიშნულება უნდა ჰქონოდათ.

დმანისის გარეუბნის სამაროვნის სამარხეული მასალა, სამარხებში აღმოჩენილი დამატარილებელი მონეტები (თამარის, რუსუდანის, და სხვა), ძეგლის ეპიგრაფიკა, სამარხთა ტიპოლოგია საშუალებას გვაძლევს სამაროვანი დავათარილოთ შემდეგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: გვიანი შუასაუკუნეების XVII ს. I ნახევარი, (ზედა დონე), განვითარებული შუასაუკუნეების XI—XIV სს. და ადრეულ შუასაუკუნეებად (ცალკეული სამარხეული კომპლექსები შეიცავს IV—V და VI—VIII სს.) მისაკუთვნებულ მასალებს.

გვიანი ბრინჯაოს ხანის ზოგიერთი სამარხი და შემთხვევითი მონაპოვარი (თიხის ჭურჭელი, თავგამსხვილებული საკინძეები) სამაროვანზე უძველესი სამარხების არსებობაზე მიუთითებს.

დმანისის გარეუბნის სამაროვნის შესწავლის შედეგების პუბლიკაცია, სამეცნიერო მიმოქცევაში მათი შეტანა დიდ სარგებლობას მოუტანს დაინტერესებულ მკვლევარებს აღმოსავლეთ საქართველოს შუასაუკუნეების სამაროვნების შესწავლის საქმეში.

1. დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1970-71 წლებში გათხარა ორი მამპალიანური მავზოლეუმი, რომელთა შედეგები გამოქვეყნებულია: ვ. ჭავჭავაძე „ერთი მამპალიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე“, ძეგლის მეგობარი № 68, 1984 წ.

2. Крачковская В. А. — Надгробные надписи из Дмания — эпиграфика Востока, М.-Л., 1951.

3. ე. კახიანი — დმანისის არაბული წარწერები 1965 წ.

4. ლ. მელქიშვილი — დმანისის სომხური წარწერები, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები (აღმოსავლურ ენათა სერია) I, თბ., 1954 წ.

გიორგი ბერიძე

ნიკო ნიკოლაძე და „ქველი თბილისის“ რეკონსტრუქცია

დღეს, როცა თბილისის ისტორიული უბნების რეკონსტრუქცია-ადაპტაციის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, ყოველწლიურად ახალ-ახალი რეკონსტრუირებული და ადაპტირებული ქუჩა, ქუჩის მონაკვეთი თუ ცალკეული შენობა გვემატება, რაც თბილისის ისტორიული ხუროთმოძღვრებისა და დაგეგმარებისადმი დღევანდელ დამოკიდებულებას ასახავს, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ისტორიული განაშენიანებისადმი დამოკიდებულების აღრინდელი მაგალითების გაცნობაც. ამ მიზნით, აქ გვინდა განვიხილოთ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობი წინადადება ნიკო ნიკოლაძისა „ქველ ქალაქში“ ახალი, ფართო ქუჩის გაყვანის შესახებ.

გაზეთ «Кавказ»-ის 1879 წლის 8 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია წერილი ქალაქის სათათბიროში 5 ნოემბერს ჩატარებული სხდომის შესახებ, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, განხილული ყოფილა, სათათბიროს ხმოსანის, ნიკო ნიკოლაძის მიერ წამოყენებული წინადადება „ქველ ქალაქსა“ და ერევანის მოედანს (დღეს, ვ. ი. ლენინის სახ. მოედანი) შორის სატრანსპორტო მოძრაობის გაუმჯობესებისათვის ახალი, ფართო ქუჩის გაჭრის თაობაზე, ძველი სავაჭრო ქუჩების გვერდის ავლით; როგორც აღნიშნავს გაზეთი, ამ წინადადებას არავითარი მასთან დაკავშირებული დადგენილება არ მოჰყოლია. ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულია ნიკო ნიკოლაძის წერილი, სადაც ავტორი ასაბუთებს თავისი წინადადების არსს. გარდა ამ ორი საგაზეთო წერილისა,¹ ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში დაცულია ქალაქის სათათბიროს 1884 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმის ამონაწერი,² სადაც ახალი ქუჩის გაჭრა ავტორს დაუკავშირებია გოგირდოვანი აბანოების ექსპლუატაციის გაუმჯობესების საკითხთან. აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძეს ანუ ახლა წარმოდგენია სათათბიროსათვის არავითარი საინჟინრო ან ფინანსური პროექტი, მაგრამ სათათბიროს ამჯერად გამოუტანია დადგენილება კომისიის ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც დაწვრილებით უნდა შეესწავლა ახალი ქუჩის გაჭრის შესაძლებლობანი მისი განხორციელების თვალსაზრისით.

თუმცა დღემდე არ მოხერხდა მოძიება ნიკო ნიკოლაძის ამ წინადადებასთან დაკავშირებული სხვა მასალებისა, მაინც შესაძლებლად მივიჩნევთ იმის გამოქვეყნებას, რაც ხელთ გვაქვს, იმ იმედითაც, რომ შესაძლოა, ამ გზით უფრო მალე გამოჩნდეს რაიმე ახალი ცნობა, რაც გააღრმავებს ჩვენს ცოდნას ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის ამ საინტერესო ფაქტის შესახებ.

საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის წინადადების ისტორია, მისი „ბედი“, განხორციელებლობის მიზეზები. მაგრამ აქ ამ საკითხებს არ შეეხებით. ჩვენ

განვიხილავთ მხოლოდ საგაზეთო წერილების და ოქმის ამონაწერის „გაერთიანებულ“ ტექსტს³ (სხვა დამატებითი მასალის მოტანის გარეშე, და შეძლებისდაგვარად გავანალიზებთ მასში მხოლოდ „ძველი ქალაქის“ რეკონსტრუქციის წინადადების ქალაქშენებლურ იდეას, ძირითადად კი, ავტორის დამოკიდებულებას თბილისის ისტორიული ნაწილების გეგმარებითი სტრუქტურისა და განაშენიანებისადმი.⁴ ქალაქის განახლება-რეკონსტრუქციის სხვადასხვა პრობლემათა გადაწყვეტისას სინტერესოა, აგრეთვე მათი თანმიმდევრობის ავტორისეული ლოგიკა. ამიტომ, აქ განვიხილავთ მხოლოდ იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტებს, რომლებსაც ეყრდნობა ნიკო ნიკოლაძე სარეკონსტრუქციო წინადადების საჭიროების და სარგებლიანობის მტკიცებისას.

«Всякому, кто хоть раз в жизни бывал в Тифлисе, — წერს ნ. ნიკოლაძე, — памятливы извилистые и непроходимые закоулки этой части города, ея узкие грязные и вонючие переулки, где опасно ходить пешком и где ездить приходится с громадными препятствиями. Но не всякому известно, что по этим закоулкам движется вся оптовая торговля закавказья и что эти переулки составляют единственный путь сообщения России с южной частью Кавказского наместничества. Это — кульминационный пункт закавказской транзитной дороги и вместе с тем чисто стратегический пункт Кавказского военного округа. Вы вероятно помните каких немощных трудов и усилий стоило проводить через эти закоулки... войска, провиант, подводы, артиллерию и тяжести... По целым дням стояли тут полки и обозы, задержанные одною какою-нибудь встречною арбою или одним фургоном,... страдает целый город,... задыхается в зловонии половина его жителей,... казенные курьеры по целым часам ждут движения чрез закоулки,... казна платит лишния деньги за провоз тяжестей через эту одну непроходимую версту главнейшего своего военного сообщения... Подобное безобразие привело меня к мысли — попытаться придумать какое либо средство к устранению этого зла»[II]

ჩვენთვის აქ განსაკუთრებით საგულისხმოა ავტორის დაკვირვება თბილისის დაგეგმარებაზე, დასაბუთება „ძველი ქალაქის“ ქუჩათა ქსელის და მისი მთავარი სატრანსპორტო არხის — შუბაზარის — მნიშვნელობისა, როგორც შიდა საქალაქო კავშირისათვის, ასევე კავკასიის სატრანსპორტო მოძრაობისათვის დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, აქ ნიკო ნიკოლაძე განსაზღვრავს თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული გეგმარებითი სტრუქტურის თავისებურებებს, რომლებიც აღინიშნებიან მკვეთრად გამოხატული გრძივი, ხაზობრივი ფორმით „საგზაო“ ნიშნით, დიდი გზის, სატრანსპორტო არხის, თვისებებით. ამიტომ, მის უმთავრეს ამოცანად იქცა „ძველი ქალაქში“ ტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესება, რისთვისაც მიმართა ქალაქების რეკონსტრუქციის გამოცდილ მეთოდს: ძველ განაშენიანებაში ახალი ქუჩის გაკვეთას. ავტორისავე სიტყვით, მისი წინადადების არსია:

...«применение к Тифлису способов, с блестящим успехом испробованных в Париже, Вене, Москве и во многих других городах...[II] предложение мое, состояло в экспроприации в пользу города полосы земли шириной в 30 сажень...⁵ более широко чем необходимо под проектную улицу...[III] и длиною в 400, от Эриванской площади до пересечения Банной улицы с Воронцовскою. Средняя треть этой полосы пошла бы под прямой и широкий бульвар, десятисаженной ширины. По бокам же этого бульвара, с обеих его сторон, у города

оставалась бы полоса земли в 10 сажень шириной. Нет сомнения, что, по проведению бульвара стоимость этих двух полос земли поднялась бы в шесть раз против теперешних цен. Продав с торгов эти участки (т. е. продать частным лицам), [III] город не только выручил бы все свои затраты по экспроприации всей полосы земли, но остался бы еще и в барыше [III] (с тем чтобы вырученной суммой покрыть расходы на проведение улицы)» [III]

ავტორის ვარაუდით, ახალდაგეგმილი ქუჩის გაყვანის შემდეგ, მის ორსვე მხარეს არსებული მიწის ზოლის ფასი საგრძნობლად უნდა მომატებულყო, ქუჩის გეგმარებით-სტრუქტურული მნიშვნელობის ზრდის გამო. ეს აზრ: ეყრდნობა ცნობილ თეზას, რომ საზოგადოდ, თუ ახალი ქუჩის გაყვანა არსებულ განაშენიანებაში წარმოებს ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის „ინტერესებიდან“ გამომდინარე, მისი „მოთხოვნილების“ გათვალისწინებით განსაზღვრული მიმართულებით და ფორმით, მაშინ არსებული სტრუქტურა „ანიჭებს“ ამ ახალ ქუჩას გარკვეულ გეგმარებით-სტრუქტურულ მნიშვნელობას, რაც თავის მხრივ, ზრდის მის ირგვლივ არსებული მიწის ღირებულებას, რეალურ ფასს. ნიკო ნიკოლაძეც, არსებითად, გეგმარებითი სტრუქტურის ამ თვისების გამოყენებას აპირებდა არა მხოლოდ შიდა საქალაქო კავშირისა და სატრანსპორტო მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით, არამედ ამ სარეკონსტრუქციო პროექტის განხორციელებისათვის, მშენებლობისათვის დაფინანსების გამოძებნისათვისაც. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, იგი ფიქრობდა ახალი ქუჩის მოსალოდნელი მაღალი გეგმარებით-სტრუქტურული ღირსება მიწის ნივთიერი ღირებულებისათვის შეეფარდებინა. ამით იგი თითქოს ცდილობდა ქუჩის გეგმარებითი მნიშვნელობის შეფასებას (გაზრდილი გეგმარებითი ღირსების გამო), მისი მიმდებარე მიწის ნაკვეთების „მომატებულ ფასში გაყიდვის მიზნით“ რაც ფინანსურ საფუძველს უქმნიდა განზრახული სამუშაოების განხორციელებას. ჩვენი აზრით, ეს არის ამ იდეის ძირითადი ეკონომიკური საფუძველი და როგორც იქნა, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქუჩის ვანლაგების და ფორმის კონკრეტული მახასიათებლებით არსებულ განაშენიანებაში, რასაც შემდეგი მსჯელობით საზღვრავს ავტორი:

«Вся площадь подлежащая экспроприации, занята теперь ничтожными хатами и мазанками, не имеющими в настоящее время почти никакой цены. В этой части города страшно дороги строения и земли прилегающие к Армянскому базару. Позади же этого базара, вплоть до Ботанической горы, земля ценится очень дешево, и капитальных построек тут очень мало. Мой проект, оставляет в стороне весь Армянский базар:» бульвар пройдет именно по малозначительным землям, лежащим сзади этого базара... Предлагаемый мною бульвар, идя прямою линиею от бывшего большого театра на Ериванской площади, проходит как раз перед караван-сараям г.г. Апанова и Манташева, перед Темными рядами и посредине нынешнего Майдана. Он не сносит и не трогает ни одного ценного, действительно капитального строения, не касается ни одной церкви. Католическая церковь, греческая церковь на Майдане, армянская церковь Норашен и грузинская церковь Джварис Мама, будут иметь фасады свои на этом бульваре» [III]

ექსპროპრიაციის პრინციპის გამოყენებით ფინანსური საკითხის მოგვარების აუცილებლობას ავტორი უმატებს აგრეთვე კერძომესაკუთრული ანგარების პრობლემის არსებობასაც, რაც ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებად იქცა მისი წინადადების განხორციელების საქმეში, ახალი „ბულვარი“ ხელუხლებლად



ტოვებს მის მეზობლად მდებარე ქარვასლებს და სხვადასხვა სავაჭროებს, ჩადგან ნ. ნიკოლაძე ითვალისწინებს რომ:

«...все Базазхана, все торговцы Темных рядов и владельцы окрестных вав-сараев, составляющую такую непреодолимую силу в Тифлисе, подымут гвалт против великой попытки такого рода. Поэтому, чтобы избежать их противодействия, я начертил линию предполагаемого бульвара таким образом, что его проведение не только не обезценивает омерзительных клоаки, иронически мною названных «вековыми гнездами торговли», а положительно утраивает их ценность»...[I]

მაინც ამ პროექტს ქალაქის საათობაროში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, რადგან საათობაროს წვერთა შორის შუაბაზარზე განლაგებული სავაჭროების მფლობელნიც იყვნენ და მათ მომგებიან კომერციას, ახალი „ბულვარის“ აგების შემდეგ, მათი აზრით, კონკურენცია და საფრთხე ელოდა. ამიტომ, აღნიშნავს ავტორი, საათობაროს წვერთა კერძომესაკუთრული ანგარების გამო, ქალაქის საათობარო არა თუ მისი წინადადების განხორციელებისა, არამედ სერიოზული განხილვის წინააღმდეგაც კი იყო. «Тут то именно и кроется существование, неймее из затруднения встречаемых мною.»[II] აღნიშნავს ნიკო ნიკოლაძე.

როგორც დავინახეთ, ნიკო ნიკოლაძემ „ძველი ქალაქის“ გეგმარებითი რეკონსტრუქციის უმთავრეს მიზნად სატრანსპორტო მდგომარეობის გაუმჯობესება დასახა. ამ მიზნის მისაღწევად მან შეიმუშავა გეგმარებითი რეკონსტრუქციისათვის დამახასიათებელი რიგი პრობლემების ურთიერთშეპირობებულად გადაწყვეტის პრაქტიკული გზები, საშუალება, რომელიც დაკავშირებულია რეალურად არსებულ გეგმარებით და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან.

განსაკუთრებით საინტერესოა ნ. ნიკოლაძის დაკვირებები თბილისის გრძივი გეგმარებითი სტრუქტურის მნიშვნელობაზე. ქალაქის რეკონსტრუქციისას. შეიძლება ითქვას, რომ მისი წინადადების საფუძველს წარმოადგენს სწორედ ქალაქთმშენებლური სტრუქტურის ანალოზის შედეგად მიღებული დასკვნები, რომელშიც საშუალება მისცა მას დაესაბუთებინა აუცილებლობა სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებისა, გამოენახა გზები მისი განხორციელებისა, შეემუშავებინა მეთოდი სამუშაოთა წარმოებისა და მიენიშნებინა ძირითადი ხაზი, განლაგება და ფორმა ახალი ქუჩისა, არსებული ქალაქის რიგი მრავალფეროვანი მოთხოვნილებებისა და გარემოებების გათვალისწინებით. არსებითად, ეს არის მისი წინადადების ქალაქთმშენებლური იდეა.

ხოლო, რაც შეეხება ავტორის დამოკიდებულებას „ძველი ქალაქის“ განაშენიანებისადმი, წერილის სტრუქტურას შორის შეინიშნება, რომ ნიკო ნიკოლაძე ხედავდა „ძველი ქალაქის“ ორ უმთავრეს თვისებას — „დასამახსოვრებელ სახეს“ და „საუკუნოვან სიძველეს“. მაგრამ, ისტორიული უბნების ზოგიერთი მოძველებული, დრომოკმული და ამიტომ ქალაქის განვითარებისათვის უკვე ობიექტურ წინააღმდეგობად ქცეული გეგმარებითი თავისებურებანი, მისი აზრით, დამლეული უნდა ყოფილიყო. „ძველი ქალაქის“ აქტიური რეკონსტრუქცია-გაჯანსაღება მიაჩნდა ავტორს აუცილებელ პირობად თბილისის შემდგომი განვითარება-კეთილმოწყობისათვის. წერილის ტექსტიდან ჩანს, ავრთვე, რომ ნიკო ნიკოლაძე რეალურად აფასებდა ისტორიულ უბნებში იმ დროს

შეკმნილ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს და მოითხოვდა ამ მდგომარეობის გაუმჯობესებას, რისთვისაც თავაზობდა კიდევ პრაქტიკულ საშუალებებს — ახალი ქუჩის გაჭრას. ამ ქუჩის გაყვანით, ავტორის სიტყვით, არსებობდა, უცვლელი რჩებოდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული განაშენიანებისა და ქუჩათა ქსელის მნიშვნელოვანი ნაწილი — მთელი შუაბაზარი ქარვასლებით, მიმდებარე საეპრო ქუჩებით და მოედნებით ხელუხლებელი რჩებოდა ეკლესიები და მრავალი კაპიტალური შენობა.

განხილული მასალის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ნიკოლაძის სარეკონსტრუქციო იდეა — „ძველ ქალაქში“ ახალი, ფართო ქუჩის გაჭრისა — მრავალმხრივ გააზრებულ ქალაქთმშენებლურ წინადადებას წარმოადგენდა და მიუხედავად იმისა, რომ არ განხორციელებულა, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დღესაც, როგორც საინტერესო მაგალითს თბილისის ისტორიული უბნების რეკონსტრუქციის ისტორიიდან.

1. ეს ორი წერილი, გაზ. «Кавказ»-ის 1879 წ. № 224 და № 247, მიმოიხიოთ თამაზ გერსამიამ, რისთვისაც მადლობას ეუხვლი.
2. ფონდი დაცულა კ. მარქსის სახ. საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკაში საბუთი № 40/1274.
3. რადგან სამივე საბუთში ძირითადად ერთ საყოთხზეა საუბარი ისინი ბუნებრივია ავსებენ ერთმანეთს. ამიტომ ჩვენც პირობითად გაეერთინეთ მათი ტექსტი ჩვენი თხრობისათვის მოსახერხებელი გადაადგილებით. ციტირების გაადვილების მიზნით, სამივე საბუთი ქრონოლოგიურადაა დალაგებული და აღნიშნული რიგითი ნომრებით: 1 — 1879 წ., № 244, 11 — 1879 წ. № 247; 111 — 1884 წ. № 40/1274.
4. ამ საბუთებში არსებული ინფორმაცია მრავალგვარია. არის საყოთხებო, რომლებიც ეხება ქალაქის სათათბიროს მუშაობას, აბანოების კეთილმოწყობის და ექსპლოატაციის საკითხს, იმდროინდელი პერიოდული პრესის მუშაობას და სხვ., რომლებსაც აქ არ განვიხილავთ.
5. — ერთი საყენი 2,13 მეტრია.
6. — დღეს ლესელიძის სახ. ქუჩა, ადრე ერქვა შუაბაზარი.

**უფლისციხის კლდეში ნაკვეთი კომპლექსების ერთი ჯგუფის
დათარიღებისათვის**

უფლისციხეში გადარჩენილი კლდეში ნაკვეთი კომპლექსების უმრავლესობა ერთ კომპოზიციურ ქარგაზეა აგებული (ნახ. 1), ამიტომ უფლისციხის მკვლევარმა, არქიტექტორმა, თ. ქარუმიძემ ამ კომპოზიციას უფლისციხის ძირითადი არქიტექტურული თემა უწოდა [11, გვ. 3].

კომპლექსები, რომლებიც მიჰყვებიან უფლისციხის ძირითად არქიტექტურულ თემას შემდეგნაირია: ფასადის მხრიდან ღია (უმეტეს შემთხვევაში კამარით დაგვირგვინებული) სათავსი, რომლის უკან ან სამ მხარეს განლაგებულია გაცილებით დაბალი, ბრტყელჭერა ოთახები. ხშირად კამაროსანი სათავსის უკან მდებარე ოთახის ჰერი შექმულია კლდეში ნაკვეთი ხის გადახურვის კონსტრუქციის იმიტაციით ანდა კესონებით. ნაგებობის წინ ეზოა, რომელიც არქიტექტურული კომპოზიციის ორგანული ნაწილია. ეზო უშუალოდ უკავშირდება ქუჩას. იგი გულდასმითაა დამუშავებული, მის გვერდით კედლებს მოუყვება კლდეში ნაკვეთი საჭდომები. ნაგებობებსა და ეზოებში არ აღინიშნება წინაქრისტიანული ეპოქის სამეურნეო დანიშნულების მოწყობილობანი (ნახ. 2).

ამ კომპლექსების მიმართ, სრულიად სამართლიანად, მკვლევართა უმეტესობის მიერ გაზიარებულია მოსაზრება რომ: «გვემარების ერთიანი პრინციპი, ერთი არქიტექტურული თემის არსებობა, დეკორისა და მონუმენტალურ-სიმბოლური სტილის ერთიანობა, აგრეთვე კლდის ზედაპირის ერთგვაროვანი დამუშავება, მოწმობს უფლისციხის კლდის ნაგებობათა ერთდროული მშენებლობის შესახებ». [11, 6].

მაგრამ უფლისციხის თანამედროვე მკვლევართა შორის კომპლექსების დათარიღებაში არაა ერთსულოვნება. ერთნი (დ. ხახუტაიშვილი, გ. ლეკვაა, კ. მელითაური) ადრეანტიკურ ხანას მიაკუთვნებენ — ძვ. წ. VI-V სს. [2, 26; 5, 61, 62; 10, 21], მეორენი (თ. ქარუმიძე, თ. სანიციძე) ადრეელისტიურ პერიოდს — ძვ. წ. IV-III სს, [11, 8; 15, 3], ხოლო მესამენი (შ. ამირანაშვილი) ერთ-ერთი კომპლექსის დეკორის გამო. II-III სს. ვარაუდობენ. [1, 102].

შევეცდებით გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება ზემოაღწერილი კომპლექსების გამოკვეთის თარიღის გარშემო.

ნაგებობათა კომპოზიციის რამდენიმე გარემოება იპყრობს ყურადღებას. პირველი — ეზოზე გამოშვავალი, უკედლო (ღია ფასადის მქონე) კამაროსანი სათავსი, რომელიც გაცილებით მაღალია მის უკან და გვერდებზე მდებარე ოთახებთან შედარებით, ეს სათავსი ეზოს სამეტრიის ცენტრზეა განლაგებული. იგი ჭმნის კომპლექსის გრძივსა და ვერტიკალურ ღერძებს — სიერკით დომინანტს. მეორე — ოთახთა კლდეში ნაკვეთი დეკორი — პილასტრები, ხის გადახურვის კონსტრუქციის იმიტაცია, კესონები.

კლდეში ნაკვეთ სათავსში ხის კონსტრუქციის იმიტაცია ფართოდ გავრცე-

ნახ. 1. უფლისციხე (სქემატური გეგმა).
 ● აღნიშნულია ლივანიანი კომპლექსები.


Рис. 1. Уплисцихе (Схематический
 план). Указаны комплексы с
 диванами.



ელებულია ეტრურიაში, მიდიაში, მცირე აზიის ქვეყნებში, აქემენიდურ ირანში, მაგრამ მათთან შედარებით უფლისციხის დეკორი უფრო რაფინირებულია, დახვეწილია, პილასტრები და კესონები კი დამახასიათებელია ელინისტური და პართულ-რომაული პერიოდის ძეგლებისათვის.

გახსნილი ფასადის მქონე ნაგებობები ცნობილია უძველესი დროიდან მიწისზედა ხუროთმოძღვრებაში (უფლისციხური კომპოზიციის ანალოგიური კლდეში ნაკვეთი ნაგებობა ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობია) — მაგალითად მეგარონები, საიდანაც, როგორც ვარაუდობენ, განვითარდა ანტიბიანი ტაძარი და საზოგადოდ ბერძნული ტაძრები, სახლები კახუნში — ძვ. წ. II ათასწ. დასაწყისი [7. 703]. კარგად ცნობილი ბით-ჰილანის ტაძრის სასახლეები ძვ. წ. IX-VIII სს. [7. 246]. აგრეთვე ბერძნული ე. წ. პასტადიანი სახლები [12].

საქართველოს არქიტექტურის ისტორიიდანაც შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები. კერძოდ: ქვაცხელა, რომლის დერეფანი ეტყობა ღია იყო [8. ილ. 12], ხოვლეგორის სამოსახლოზე გათხრილი ძვ. წ. XII-X სს. სახლი [3. 63] და ბოლოს გლეხური დერეფნიანი დარბაზი, რომელიც ალბათ სწორედ ქვაცხელსა და ხოვლეგორული სახლების განვითარებით მივიღეთ. [16. 345].



ნახ. 2. უფლისციხეში არსებული ლივანიანი კომპლექსების სკემები.





Рис. 2. Схемы комплексов с ливанами в Уплищихе.

ნახ. 3. ლივანიანი სახლები აშურეში (კოშლენკოს მიხედვით).

Рис. 3. Дома с ливанами в Ашуре (по Кошленко).



ყველა ზემოთჩამოთვლილ მაგალითსა და უფლისციხეურ კომპლექსებს შორის, ჩვენი აზრით, პრინციპული განსხვავებაა. პირველი — არსად არაა გამოყენებული კამარა, ყველგან სათავსები არქიტრაულადაა დახურული. მეორე — უფლისციხისაგან განსხვავებით ღია სათავსი არაა სრულფასოვანი ოთახი — იგი უფრო პორტიკია, არა ჰქმნის კომპოზიციურ დომინანტს. უფლისციხეში კი კამაროსანი სათავსი უფრო მაღალია, ვიდრე გვერდითი ოთახები. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, თავისთავად თალი და კამარა არაა მშვიდი ფორმა. იგი თავისკენ იზიდავს მნახველის მზერას, ბატონდება სიერცესა და სიბრტყეზე ანუ დომინირებს კომპლექსში.

უფლისციხეში რომ კამაროსან სათავსს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, კარგად ჩანს ე. წ. „კოხტა სახლში“. ამ სახლს თავის დროზე კლდეში ნაკვეთი კამარა ჰქონია, რომელიც ჩამონგრეულა, მაგრამ იგი ხის მასალით აღუდგენიათ. კლდეში ნაკვეთი ხის კოჭის ბუდეები გადარჩენილია (გრაფიკული რეკონსტრუქცია იხილეთ [9. 314, ნახ.1]).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უფლისციხის ძირითად არქიტექტურულ თემასთან, ჩვენი აზრით, ყველაზე ახლოს დგას პართული ე. წ. „ლივანიანი სახლი“.



მოგვეყავს „ლივანიანი“ იგივე „აივნიანი“ (აივანს დღეს ნაგებობის სხვადასხვა ნაწილს ვუწოდებთ, ამიტომ შემდგომში ვიხმარებ „ლივანს“) სახლის კედლებსა და „ყოველი საცხოვრებელი კომპლექსის ცენტრის წარმოადგენს ვრცელი ეზო. ქუჩიდან შესასვლელი კარი ეზოს პატარა ვესტიბულით უკავშირდება. კარი აუცილებლად ეზოს კუთხეშია მოთავსებული. ეზოს ჩრდილოეთ მხარეს (ქუჩის მხრიდან) ოთახები არაა. ყველა ოთახი ეზოს დანარჩენ სამ მხარესაა კონცენტრირებული. სახლის საცხოვრებელი ნაწილის ცენტრია სამხრეთით მდებარე, ჩრდილოეთისაკენ მიმართული დიდი სათავსი — ლივანი (აივანი)“ [13. 128] (ნახ. 3).

ლივანი კამარით გადახურული მართკუთხა სათავსია, რომლის ერთი გვერდი გახსნილია, ღია გვერდით ლივანი ეზოში გადის. იგი არქიტექტურული კომპლექსის მთავარი ელემენტია. საყოველთაო გავრცელებული მოსახრების თანახმად ლივანი პართული ხუროთმოძღვრების პირმშოა [13. 146; 18. 45. 19. 428]. ჩვენთვის ცნობილი უძველესი ლივანიანი, ნაგებობა გამოვლენილია კომპლექს მანსურ-დევეში და თარიღდება ძვ. წ. II-I სს. [14. 34]. აღსანიშნავია რომ მანსურ-დევეს კამარით კი არა, არამედ არქიტრაველად (ზის კოქებზე გამართული ბანი) ყოფილა გადახურული.

საზოგადოდ, პართული ლივანიანი ნაგებობები უმთავრესად პართიის დასავლეთ ნაწილიდანაა ცნობილი, კერძოდ ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან, სადაც გავრცელებას იწყებს I ს. შუა წლებიდან, ფართოდ კი გვხვდება II საუკუნიდან. [18. 57; 19. 432].

აღბათ უფლისციხის კომპლექსები ერთგვარი გამომაბილია პართული ლივანიანი სახლებისა და უნდა გამოკვეთილიყო II ს.

ამ თარიღს ისტორიული ვითარებაც უწყობს ხელს ფარსმან ქველის დროს და შემდგომ ქვეყანა გაძლიერდა, საკმაო ხანს მშვიდი ცხოვრების საშუალება ჰქონდა [4. 529 და შემდეგ]. ამ დროს საქართველოს ირანულ სამყაროსთან ახლო კონტაქტზე მიუთითებს ირანული სახლების (ზედა, მმართველ ფენაში მაინც) ფართო გავრცელება, ირანული ტიტულატურა (მაგ. პიტაიში) და მრავლად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა.

დათარიღებას თითქოს ძველის სტრატეგრაფიაც უბამს მხარს. სტრატეგრაფიული ჰრილის გაკეთება მოხერხდა ვათხრების II და IV უბანზე:

IV უბნის სტრატეგრაფიულ ჰრილში ერთი საინტერესო გარემოება იქცევის ყურადღებას. ამ ადგილას უძველესი, მეორე ფენის ქვედა დონე (ძვ. წ. IV-II სს). წარმოქმნილი ჩანს ალიზის დაშლის შედეგად, ხოლო მეორე ფენის ზედა დონე (I-III სს.). „შეიცავს უფლისციხის შიდა ქალაქის ნიადაგისათვის დამახასიათებელ სილას, რომელიც ქვიშაქვების დაშლის პროდუქტს წარმოადგენს“. [6.63].

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ელინისტური ხანის უფლისციხეში წამყვანი ადგილი ეკირა ალიზის ნაგებობებს (თუმცა აღბათ გამოქვაბულებიც არსებობდა), რომელთა დარეცვისა თუ დანგრევის კვალია ჰრილში გადარჩენილი შემდგომ, როცა გაიშალა ფართო მუშაობა კლდეში ნაკვეთ კომპლექსებზე — შესაბამისად შეიცვალა ჩამორეცხილი გრუნტის შემადგენლობა, იმატა „ქვიშაქვის დაშლის პროდუქტმა“.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს უფლისციხური კომპლექსების განსხვავ-



ება პართული ლივანიანი ნაგებობებისაგან. ჯერ ერთი, რაც ალბათ მთავარია — პართული სახლი ჩაკეტილია. კარები (შიშკარი) პირდაპირ ქუჩაში არ გადის. იგი ყოველთვის მოთავსებულია ეზოს კუთხეში. ეზო ქუჩას „ვესტიბიულით“ უკავშირდება. ეზოს გარშემო სხვადასხვა სათავსებია. უფლისციხეში კი პირიქით, ნაგებობები გახსნილია გარე სამყაროს მიმართ — ღია სათავსი (ლივანი) — ეზო დაბალი ღობით — ღობის ცენტრში კარი — ქუჩა. ეს ძირძველი ადგილობრივი ხალხური ტრადიციაა, რომელიც შეამჩნია და ხაზგასმით აღნიშნა თავის დროზე გ. ჩუბინაშვილმა [17. 63], და მეორე, პართიაში ლივანები ყოველთვის ორიენტირებულია ჩრდილოეთით, უფლისციხეში ეს არ შეინიშნება (ორიენტაცია რელიეფზეა დამოკიდებული).

ამრიგად, უფლისციხის კომპლექსები, რომლებიც მიჰყვებიან ძირითად არქიტექტურულ თემს, ახლოს დგანან პართული ლივანიანი ნაგებობების კომპოზიციასთან და შესაბამისად მიეკუთვნებიან გვიანანტიკურ ხანას, კერძოდ II ს.

ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ. პართული ხელოვნების ისტორია თბ. 1971.
2. ლევაია გ. ქვაბქალაქ უფლისციხის არქიტექტურა ძველის შეგობარი № 27/28 თბ. 1971
3. შელითაური კ. ძველი საცხოვრებლები სოფ. ხოვლესთან. ძველის შეგობარი № 50 თბ. 1979
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I თბ. 1970
5. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე I თბ. 1964
6. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე II თბ. 1970.
7. ВИА, т. № 1, М., 1970.
8. Джавахишвили А. И. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа у—III тыс. до н. э. Тб., 1973.
9. Мелитаური К. Н. Один вид жилища в Грузии. საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIy, № 5, 1954.
10. Мелитаური К. Н. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. Тб., 1969.
11. Карумидзе Т. Ш. Улисские. Скальная архитектура цитадели и последующие строительные периоды. Тб., 1977.
12. Кауфман С. А. Вилла Доброй Судьбы. Вопросы всеобщей истории архитектуры. М., 1961.
13. Кошеленко Г. А., Культура Парфии. М., 1966.
14. Кошеленко Г. А., Пилипо В. Н. Исследование парфийского святилища в окрестностях Нисы. Каракумские Древности вып. II, Ашхабад, 1968.
15. Саникидзе Г. Е. Новые материалы по пещерному городу Улисские. Тб., 1983.
16. Сумбадзе Л. Архитектура Грузинского народного жилища Дарбази. Тб., 1984.
17. Чубинашвили Г. Н. Очерк развития в Грузии дофеодальной архитектуры
18. Debevoise N. C. The Origin of Decorative Stucco. American Journal of Orchaology, N1, 1941.
19. Reuther O. Parthian Architecture. A Survey of Parsian Art. vol. 1. L., N.-Y., 1967.

მუზეუმი სკოლადაა

1977 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ჩამოყალიბდა მცხეთის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი. ასრულდა საქართველოს ისტორიისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების მოყვარულთა ნატურა. იბერიის უძველეს დედამიწაქში, ჩვენი მატრის თავეფურცელთან, ჩამოყალიბდა ორგანიზაცია. რომელსაც შესწევს უნარი აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი და შემკრავებითი მუშაობა. ამაღლოს კულტაგანმანათლებლო და საექსკურსიო მუშაობის დონე, გააუმჯობესოს ფონდების აღრიცხვისა და დაცვის საქმიანობა, აწარმოოს ძეგლების მოვლა-პატრონობა და ფართო მასშტაბით გაშალოს სამომსახურო მუშაობა. მას შემდეგ შეიღმა წელმა გაიარა, ამ ხნის განმავლობაში მუზეუმი გახდა ჩვენი სემშობლოს გმირული ისტორიის, ხუროთმოძღვრული ძეგლების პროპაგანდისტული ცენტრი.

მცხეთა არქეოლოგიური ნაკრძალიცაა. მის შემოგარენში შემთხვევით თუ საგანგებოდ მოპოვებული ექსპონატები ავსებენ მოსკოვის, პეტერბურგისა და თბილისის მუზეუმების ფონდებსა და სიძველეთა საცავებს (ამჟამად მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაკვეთი მასალა მცხეთისავე მუზეუმში რჩება). არმაზის, სამთავროს, წიწამურის სამაროვნებიდან ამოღებულმა ექსპონატებმა: გულაკილებმა, სამაჭურებმა, სამკლაურებმა, საწვიეებმა, თავსაკრავებმა, დიადემებმა, ქამრებმა, საყურებმა, ქინძისთაგებმა, მძივებმა, ბეჭდებმა. მედალიონებმა განაცვიფრეს არქეოლოგიური სამყარო. წელი არ გავა, რომ ისტორიისათვის მნიშვნელოვანი და ფასეული ნიმუშები არ აღმოაჩინონ არქეოლოგებმა.

მუზეუმი ამასთან ერთად თანამედროვეობის პოპულარიზატორიც უნდა იყოს. დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა: „მუზეუმი მარტო ისტორიაა უნდა არ არის, სკოლაცა“ და მართლაც მუზეუმი თანამედროვე პირობებში უნდა იყოს მასობრივ პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საბჭოური პატრიოტიზმის და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეალების ჩამოყალიბების ცენტრი. სწორედ ამ მიმართულებით წარმართა ჩვენმა მუზეუმმა მუშაობა. დიდი ყურადღება დაუთმეთ ტურისტულ საექსკურსიო ხაზით — საინფორმაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. წლიური გეგმების შედგენისას მეცნიერ-თანამშრომლებისა და ექსკურსიამძღოლებისათვის იგეგმება ისეთი თემები, რომლებიც ძირეულად გააშუქებენ როგორც წარსულს, ასევე მცხეთის თანამედროვეობას. მუზეუმის მეცნიერ-მუშაკები და ექსკურსიამძღოლები წარმოება-დაწესებულებებში და საბჭოთა მეურნეობებში მშრომლებს უკითხავენ ლექციებს, ატარებენ საუბრებს და სხვ.

მცხეთის პარტიის რაიკომმა, სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ, მცხეთის ალკ რაიკომმა მცხეთის რაიონის ისტორიული ძეგლების საშეფო დახმარებისათვის დარაზმა რაიონის ახალგაზრდობა. წარმოება-დაწესებულებებმა და უწყებებმა ფართო მუშაობა გაშალეს მამა-პაპათა დანატოვრის მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობისათვის. სწორედ ასეთმა თაოსნობამ გადაარ-



ჩინა დაღუპვის პირა მისული ქსნის ციხე, მუხრანის ციხე-გალავანი, წილენის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანი და სხვა ისტორიული ძეგლები. შეკეთდა ციციშვილების ციხე ნიხისში, რომელიც გადაქცეული იყო პირუტყვის თევზის შესაყარ ადგილად, ჩამოიკიდა რკინის კარები და ახლა იგი მშრომელთა დასვენების კერად არის გადაქცეული. ამავე სოფელში სამ ისტორიულ ძეგლს ჩამოკიდეთ კარები და დაეცავეთ მქლანელებსა და უდიერი მაცხოვრებლების ხელყოფისაგან. სოფელ ძეგვში გასუფთავდა და კეთილმოეწყო რვა ისტორიული ძეგლი, ხოლო კოშკზე ჩამოკიდებულ იქნა რკინის კარები. ჭვრის მონასტრზე ქვის კვადრებით აშენდა გუშავთა სამყოფი ჭიხური. წილკანში ღვთისმშობლის ისტორიული ძეგლის ტერიტორიაზე დანგრეულ იქნა ფოსტის ამორტიზირებული შენობა და სამშენებლო ნაგვისაგან გასუფთავდა. ამჟამად მთავრდება როგორც ძეგლის ისე მისი გალავნის რესტავრაცია. ძალისში ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ გადახურა და ვიტრაციებით შემოსაზღვრა ანტიკური პერიოდის აბანო და საკულტო შენობის მოზაიკა. გრძელდება არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები. მუხრანში გაიწმინდა გვიანფეოდალური ხანის ისტორიული ძეგლი, ჩამოიკიდა რკინის კარები და დაიკეტა. აღნიშნული ძეგლი გადავეციეთ მუხრანელ კომკავშირელებს კულტ-საკვანძოთლებლო, პატრიოტულ-ინტერნაციონალური დანიშნულებისათვის. ამ ციხე-გალავნის კარის ეკლესია, რომელიც პურის საცობად იყო გამოყენებული, გასუფთავეთ და კეთილმოეწავეთ. ამჟამად გაშლილია მუშაობა მუხრანის კონსტანტინე მუხრანბატონის ციხე-გალავნის რესტავრაციისათვის. ზედაზნის ეზოს გაუკეთდა მოაჯირი და ახლა გადასახედი საშიში აღარ არის დამთვლიერებლებისათვის. შიომღვიმეში დამთავრდა დამხმარე სათავსების შეკეთება, გაყვანილია კაბელი, ელექტრონით განათდა VI—X—XII სს. სამონასტრო ანსამბლი: 1984 წლის ზარჯათღრიცხვით მუზეუმმა 50.000 მან. შემოსავალი მისცა ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს ისტორიული ძეგლების სარესტავრაციოდ. მთავრდება ქსნის ციხის სარესტავრაცია სამუშაოები.

რაიონის სასოფლო საბჭოებმა, დებუტატების აქტივმა, სოფლის მშრომელებმა კვლავც დიდი დახმარება უნდა გაგვიწიონ ისტორიული ძეგლების შეკეთება რესტავრაციის საქმეში. სასწრაფო დახმარება სჭირდებათ იმ ძეგლებს, რომლებიც დაღუპვის პირას არიან მისულნი და ხელი თუ არ მივაშველეთ გუმბათი ჩამოექცევით. კამარა მოერღვევათ. ასეთი ძეგლები იმდენად ბევრია, რომ ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო ჯერჯერობით ვერ მიხედავს, ამიტომაც ერთი ხელის მოსმით კი არა, გეგმიურად რიგრიგობით ისეთნაირად უნდა გაემაჯვროთ, რომ რესტავრაციამდე მაინც შევაჩეროთ მათი ნგრევა და დაშლა. ამ მიმართულებით მოშაობა უკვე გასწიეს მუხრანის, წეროვნის, წილენის, ძეგვის სასოფლო საბჭოებმა. ა/წ. წეროვნის სასოფლო საბჭოსა და მცხეთის მევენახეობის საცდელი მეურნეობის თაოსნობით რესტავრაცია ჩაუტარდა წეროვნის ეკლესიის „სამების“ XI ს. ისტორიული ძეგლის გალავანს. მუხრანში სასოფლო საბჭოს აქტივმა შეაკეთა კონსტანტინე მუხრანბატონის ციხე-გალავანი და კარიბჭე; წილკანში დამთავრდა „ღვთისმშობლის“ ეკლესიის და გალავნის რესტავრაცია. ამ საქმეში თავი გამოიჩინა წილენის სასოფლო საბჭომ და წილენის ექსპერიმენტალურმა მეურნეობამ.

მუზეუმის მიერ დაწესებულ იქნა გარდამავალი წითელი დროშა იმ შეფ-



ორგანიზაციებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენენ ისტორიული ძეგლების მიმართ. 1983 წელს გარდამავალი წითელი დროშის მემკვიდრე № 18 პროტექტორის სასწავლებელს, რომლის მოსწავლეებმაც შექმნეს „მგალობლიანი კარისა“ და „ღვთისმშობლის“ დარბაზული ეკლესიები. ხოლო 1984 წელს დროშა მიეკუთვნა საქართველოს სსრ საინჟინერო-ტექნიკური საინსტიტუტოს „ხიდგვირაბმშენინდუსტრიის“.

მკიდრო მეგობრული ურთიერთობა დავაყარეთ მცხეთისა და ნანსტაყის არქეოლოგიურ ექსპედიციებთან.

1983 წელს რომსა და მცხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების ფოტოექსპოზიცია რომლის გამოდენაც მოეწყო ნოვგოროდის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმ-ნაკრძალის მთავარ სავამოფენო დარბაზში. ორ მუზეუმს შორის დამყარებულ მეგობრობას ფართოდ გამოეხმაურა, როგორც გაზეთი „კომუნისტი“ ისე გაზეთი „ნოვგოროდსკოე პრავდა“. იგივე გამოფენა გაეცანით გიორგიევსკელ მშრომელებს.

1985 წელი მუზეუმის კოლექტივმა კარგი მაჩვენებლებით დაითავრა. გეგმით გათვალისწინებული 524254 დამთვალიერებლის ნაცვლად მუზეუმის საექსკურსიო ობიექტები დაათვალიერა 602502 დამთვალიერებელმა; მათი რიცხვი მცხეთის საექსკურსიო ობიექტებზე ყოველწლიურად საშუალოდ 40 ათასით მატულობს.

1983-84 წწ. გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სანიმუშო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ მუზეუმს მიაყუთვნა პირველი ადგილი და დააჯილდოვა ფულადი პრემიით.

